



ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru



№229 (288) 23-30 ივლისი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანი 30 თეთრი

არჩევანი მე, არადანი უნე!..

საქართველოში საპრეზიდენტო სარჩევნო ციებ-ცხელება დაიწყო. უკვე დარეგისტრირებულია პრეზიდენტობის ათამდე კანდიდატი და მათი რიცხვი თანდათან მატულობს. კიდევ კარგი, კანდიდატების მსურველთა რეგისტრაციის ვადა შეზღუდულია, თორემ, ქართველების ამბავი რომ ვიცი, გამორიცხული არაა, რომ კანდიდატთა რიცხვმა მნიშვნელოვნად გადააჭარბოს ამორჩევნო რიცხვს!

ამასთან დაკავშირებით ერთი სახალისო ამბავი მსხენდება. არჩევნების ჩატარების შემდეგ ცოლი ეჩხუბება ქმარს, რომელიც კენჭს იყრიდა, მაგრამ დამარცხდა:

– ერთი ხმა მე მოგეცი, მეორე ხმა შენ თვითონ მიეცი საკუთარ თავს, აი, მესამე ხმა ვინ მოგცა, ალბათ საყვარელი გაეცა!

ჩვენთანაც ასეა – კანდიდატების ვინაობას რომ ეცნობი, წინასწარ იცი შედეგი – ოჯახის წევრების გარდა მათ ხმას არავინ მისცემს, მაგრამ, სამაგიეროდ მთელი დაჩენილი სიცოცხლის განმავლობაში, როცა სურავს მისი სადღეგრძელო შეისმება, თამადა თავის “საინ”-ს ამ სიტყვებით დაიწყებს:

– ეს ადამიანი საქართველოს პრეზიდენტად იყრიდა კენჭს და მისთვის ხმები რომ შეგნებულად არ წაერთმიათ, აუცილებლად გაიმარჯვებდა და ჩვენი ქვეყნის საქმეც სხვაგვარად წავიდოდა!

ქართველი ადამიანის პოლიტიკური მენტალიტეტიდან გამომდინარე, ამგვარი პოლიტიკური კაპიტალისათვის ნამდვილად ღირს არჩევნებში გარდაუვალი მარცხის რისკზე წასვლა! მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პოლიტიკური მენტალიტეტი და, ზოგადად, პოლიტიკური კულტურა ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ დასახეწია.

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ჩატარებული ნებისმიერი არჩევნებისადმი ქართველი კაცის დამოკიდებულება მიანიშნებს, რომ იგი არჩევანს აკეთებს იმპულსურად, საკუთარ ემოციებზე დაყრდნობით და არა ქვეყნის ბეჭე მათთვის გულშემოთმობით პატივით და პოზიციადან. ჩვენ ყოველთვის გვინდა ამოვირიოთ ის ხელისუფალი, რომელიც ჩვენს მაგივრად იმუშავებს და ჩვენ გვარჩენს, მაგრამ არ ვუფიქრებთ იმას, რომ ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბევრად უფრო საშური იმ ხელისუფლის არჩევა, რომელიც ავგამუშავებს და ჩვენივე ხელით გამოგვაჭედინებს საკუთარ მომავალს.

ამას კი საკმაოდ დიდი ხანი და პოლიტიკურ ბატალიებში ბევრად გამოწოთობილი პრეზიდენტი სჭირდება, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ამგვარი არჩევნის პოლიტიკური მოტივის ლოგიკა არც თუ ისე მწელი ასახსნელია. ჯერ იყო და მე-19 საუკუნის დასაწყისში, როცა საქართველო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ აღმოჩნდა, სწორედ რუსულმა იარაღმა დაუბრუნა მას თურქებისაგან წართმეული ახალციხე და სხვა ტერიტორიები, შემდეგ კი საერთოდ რუსეთმა აიღო თავის თავზე საქართველოს სამხედრო დაცვა, რამაც ხმალი წართვა ქართველ კაცს ხელიდან და მან ავტომატურად დაკარგა “ქრისტესა და საქართველოსათვის” მებრძოლის ფუნქცია. ნიჭიერი მებრძობი და მხედართმთავრები არც შემდეგ დაკლებია საქართველოს, მაგრამ ისინი უკვე რუსეთის დროშის ქვეშ იბრძოდნენ, თუნდაც საქართველოსათვის.

შემდეგ რუსეთთან უწყვეტ ნაკადად დაიწყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების – პურისა და ხორცის შემოტანა, რის დაფიცობაც ყოველთვის განიცდიდა საქართველო, რადგან მადლიან მიწას მადლიანი დამუშავება სჭირდებოდა, რისი საშუალებაც ქართველ ადამიანს არ ჰქონდა, რადგან ცალი ხელით გუთანს იყო მოჭიდებული, მეორე ხელით კი მომხედურს ებრძოდა. ახლა კი, რუსეთის წყალობით, საქართველოს უსაფრთხოება

დაცული იყო და მას აღარც შიმშილი და გაჭირვება ემუქრებოდა.

სწორედ მაშინ შემოეპარა ქართველ კაცს “პარაზიტების” ბაცილა, რომელიც დროთა განმავლობაში თანდათან ძლიერდებოდა. ჩვეულებრივ მოკვდავთა ენაზე კი ამას სიხარბე ჰქვია, რითაც მოხერხებულად სარგებლობენ ხოლმე თაღლითები, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

შემდეგ მოხდა სოციალისტური რევოლუცია, რომელსაც მოჰყვა გეგმიური ეკონომიკა და სოციალური დაცვის მძლავრი მექანიზმის ჩამოყალიბება. ადამიანი მთლიანად გახდა დამოკიდებული სახელმწიფოზე – იყო უფასო სწავლა-განათლება, ჯანდაცვა, საცხოვრებელი ფართი, სხვა სიკეთეები... ადამიანები გადაეჩვივნენ საკუთარ ყოფაზე ფიქრს, ისინი სახელმწიფოსაგან სულ უფრო მეტსა და მეტს ითხოვდნენ, რაც სტალინის ეპოქაში კმაყოფილდებოდა კიდევ, მაგრამ ბელადის სიკვდილის შემდეგ მძლავრმა საბჭოთა კავშირმა დაიწყო რღვევა და 1991 წელს იგი საბოლოოდ დაიშალა. უზრუნველ ყოფას მიჩვეული საზოგადოება რეალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რისთვისაც იგი არც ფსიქოლოგიურად აღმოჩნდა მომზადებული, არც პოლიტიკურად და არც ინტელექტუალურად. სწორედ მაშინ დაიწყო იმ მესიის ძებნა, რომელიც ჩვენს მაგივრად იფიქრებდა, ჩვენს მაგივრად იმუშავებდა და სარჩო-საბადებლობაც გამოგვიტენიდა მაცივრებს.

არავინ ფიქრობდა როგორ, რა გზებით, რის ხარჯზე?

სწორედ ამიტომ არ დავაცადეთ ზვიად გამსახურდიას, და შევარდნაძის მიერ მისეულმა ხროვამ, საზოგადოების დანაშაულებრივი დუმილით, ჩამოაშორა იგი ხელისუფლებას.

ადვირახსნილმა პროპაგანდამ თავისი გაიტანა და ხალხმა ახლა უკვე შევარდნაძეზე დაინახა ის “მესია”, რომელიც მაცივრებს სხრავდა ავეჯსებდა, რისი დასტურიც გახლდათ საქართველოსათვის დიდად სამარცხენო მოვლენა, როცა ხალხმა შევარდნაძეს დაუწოდა და სთხოვა, რომ არ გადაამდგარიყო!

მაგრამ, იყო შეპირებები, რასაც ჯიუტად იჭერებდა კარგ ცხოვრებას დახარბებული ობიექტული. ასევე იყო საღი აზრიც, რომელსაც საშოვარს გადაგებული ობიექტული ყურს არ უდებდა, რადგან მაშინ კაპიტალიზმი ყველას წარმოედგინა უშრომლად გამდიდრების უტყუარ ფენომენად...

სწორედ იმ მიმე ვამს დაარსება “საგანგაშო ზარი” ცნობილმა ქართველმა პოლიტიკოსმა ალექსანდრე ჰაჭიაძემ, რომელმაც 1997 წელს გამოქვეყნებულ სტატეგიაში აღნიშნა:

“საქართველო არ აღორძინდება მანამ, სანამ მუქთახორთა ფსიქოლოგიას ბოლო არ მოეღება. არც სსრკ არც ნატო, არც აფრიკის კავშირი ჩვენ არ შეგვიანხავს და ჩვენი სახელმწიფოებრიობაზე არ იზრუნებს. რუსეთთან ისევე, როგორც დასავლეთთან, ჩვენი ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს სრულიად ახალ პრინციპებს, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება იმისგან, რაც დღეს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელების მიერ ხორციელდება. ჯერ კიდევ 1995 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს მე ვთქვი, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა იმით კი არ უნდა იყოს შეჭრული პრორუსული თუ პროდასავლური პოლიტიკა გაატაროს, არამედ იმაზე იფიქროს, თუ როგორ გახადოს იგი პროქართული... ცხოველებს იჭერენ, ვინაიდან ისინი ემორჩილებიან ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ინსტინქტს. ნებისმიერი საფანჯიე სწორედ ამის გათვალისწინებითაა დაგებული. ხშირად ცხოველს ეშინია კიდევ, მაგრამ ხაფანგში

მაინც ძვრება. ერთ-ერთი ყველაზე ფრთხილი ფრინველი ბატია. მონადირეები ველზე ბატის ფიტულებსა თუ მულაეებს დებენ. ზემოდან ისეთი შობაბეჭდილება იქმნება, თითქოსდა ველზე მშვიდად სხედან ბატები. მფრინავი გუნდი სწორედ ამ “უსაფრთხო ველს” ირჩევს დასასვენებლად და პირდაპირ თოფის ლულებს აჯდება. გავიხსენოთ, როგორ დაიჭირეს “სატყუარაში” ჩვენი საზოგადოება. აჩვენეს ლამაზად შეფუთული ძეხვი და “ჟუფანკა” და ისიც გაეკანა ხაფანგისაკენ. წინ მიბრუნდა “ელიტარული ინტელიგენცია” რომელიც, როგორც გაირკვა, კუჭით ფიქრობს. დღეს ხალხმა უკვე შეგნო, რომ, მოატყუეს და გაპარცვეს, რომ შეპირებული სიმდიდრე, “ცხოვრება, როგორც ამერიკაში” არსებობს არა მათთვის, არა “ბრბოსათვის”, არამედ მხოლოდ “რჩეულებისათვის”, მონადირეებს კი უკვე ახალი “სატყუარა” გამოუჩნდა – ნათობსადენი, ტრანზიტ, “ვეროპაში” შესვლა, “შეგარდაძის” ფენომენი და ათასი სხვა სისულელე-არადა, ხომ არის ხალხი, საკმაოდ განათლებულიც კი, რომელსაც ამისი სჯერა!”

ეს გახლდათ თავისებური პოლიტიკური “გალაწუნება”, რომელმაც, სამწუხაროდ, ანგარიში არ გაუწია არც ერმა და არც ბერმა და მოსალოდნელმა შედეგამც არ დააგვიანა – გაგავდეთ ელფური და მოვიყვანეთ მიწა, ყოველი შემთხვევისათვის, წინააღმდეგობა არ გაგვიწვევია შევარდნაძის ვერაგული ჩანაფიქრისათვის, რომელმაც ჩვეული ბინძური მეთოდებით გაითამაშა “ვარდების რევოლუცია” და ნახევრადშემოღობი არაქართველი არაკაცი წამოგახვია თავზე!

ცხრა წელიწადი გაძლო ამ შეურაცხავა საქართველოს “ტახტზე” და რაც მან უბედურების დაატარა, მაგის გამოსწორებას, ალბათ, ათწლეულები დასჭირდება. მაგრამ მუქთახორთა მინეული ქართული საზოგადოება მაინც კმაყოფილია, რადგან გამომჩნდა ახალი “მესია” – ბიძინა ივანიშვილი, რომელიც “ჩვენს მაგივრად იმუშავებს და მაცივრებსაც მალე გამოგვიტენის ხორავით”. ასე რომ, ჯერჯერობით ყველაფერი იმ მოჯადოებულ წრეზე ტრიალებს, რისთვისაც უკვე მესამე საუკუნეა ვერ დაგვიხსნია თავი!

ყველანი მოწიწებით შესცქერიან ხატებად ქვეულ ივანიშვილს...

თვალნათელია, რომ “მესიის” მუდმივმა მოლოდინმა საქართველოს წინსვლა დიდი ხნით შეაფერხა, ქვეყნის აღმშენებლობაში ხალხის როლი სრულად უგულებელყო. რიგითი მოქალაქის პრობლემები არც “მოქალაქისთვის” და არც “ნაციონალი” ხელისუფლის საზრუნავი არასოდეს გამხდლა. სამწუხაროა, რომ ვერც ხელისუფლებაში “ქართული ოცნების” მოსვლამ გამოაჩინა შუქი გვირაბის ბოლოში. ავიდოთ თუნდაც მათი საპრეზიდენტო კანდიდატი მარგველაშვილი, რომელიც, როგორც იცით, “რესპუბლიკელი” მსგავსად სოროსის ბუდეშია გამოხრდილი. როცა კულტურის ყოფილ მინისტრს, ცნობილ მხედრიონელს, ბანდიტსა და მეკვლავს ნიკა რურუას ჰკითხეს მარგველაშვილთან მისი დამოკიდებულების თაობაზე, მან უპასუხა: “მარგველაშვილი ჩემი მეგობარია”. აქ უნდა გავიხსენოთ ცნობილი რომაული გამოთქმა: “მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინა ხარ შენ!” ეს ის მარგველაშვილი გახლავთ, რომელმაც განათლების სამინისტროში, თავის მოადგილედ, ოდიოზური ფიგურა, ყოველივე ქართველ დაუბინებელი მტერი დავით ზურაბიშვილი დანიშნა.

ვერც ივანიშვილზე იტყვი, რომელ იდეოლოგიას აქვს გვიხ ადებული, მაგრამ მისი საკადრო პოლიტიკაც ვერაფერს სახარბიელოს ვერ უქადის საქართველოს. რაც შეეხება რუსეთთან მის დამოკიდე-

ბულებს, “ზორჯომისა” და ქართული დვიზის რუსულ ბაზარზე შეტანის მეტი არაფერი გაკეთებულა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ივანიშვილს გარკვეული ვალდებულებები აქვს ადებული ამერიკელთა წინაშე და ამაზე შორს ან შეგნებულად არ მიდის, ან მეტი აღარ შეუძლია.

არა და, პუტინმა ერთ თავის ინტერვიუში საზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი მოგვარებადია, რაც დადებით მესიჯად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენ გან კი მიიღო მარგველაშვილის პრეზიდენტად არჩევის მესიჯი, იმ სოროსელი მარგველაშვილისა, რომელიც საქართველოს მოსახლეობისათვის ნაციონალთა ანახლებად მოიაზრება!

სიტყვას აღარ გავაგრძელებ და ჯიქურ გეტყვი: როცა სახალხო მოძრაობა “სამეგრელო”, გასეთები “ილორი”, “საქართველო და მსოფლიო” და მედიის სხვა საშუალებები კატეგორიულად მოითხოვენ ბატონი ალექსანდრე ჭაჭიაშვილის, რომ მან კენჭი მიყაროს საქართველოს პრეზიდენტად, ეს გახლავთ არა იმის სურვილი, რომ ჩვენი თანამებრძოლი და მეგობარი, ბატონი ალექსანდრე ჰაჭიაშვილი ჩვენდა სასიკეთოდ გახდეს ქვეყნის პირველი პირი.

ამიტომ ახლავ მინდა გავუცრუო იმედი ამგვარი მოლოდინის მქონე ადამიანებს – ბატონ ალექსანდრე ჰაჭიაშვილს ლამის ასევე ტიზამდე დასული, საკუთარ სინდისთან უკომპრომისობა, უადრესად თავშეაგებული ცხოვრების წესი, ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისადმი ღრმა პატივისცემა და მტკიცე პოლიტიკური მრწამსი კატეგორიულად გამოიცხავს რაიმე სუბიექტურ და მისი ძალისხმევა ყოველთვის იყო, არის და მიმართული იქნება მხოლოდ ქვეყნის საკეთილდღეოდ!

არ დამიწყებდებ, როცა ბატონ ალექსანდრესთან მივიდნენ ქართული ბიზნესის წარმომადგენლები და უთხრეს: “პრეზიდენტად არჩევას საკმაოდ დიდი სახსრები სჭირდება, ჩვენ ამ ხარჯებს ჩვენს თავზე ავიდებთ და გამარჯვებაც გარანტირებული გეგნება, ოღონდ, უნდა შეგვიბრდეს, რომ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ფოთის პორტს ჩვენ გადამოგვცემო!”

იცით, რა უპასუხა ბატონმა ალექსანდრემ: “საქართველოს მხოლოდ ეგ ერთადერთი გამართული ობიექტი გააჩნია ბიუჯეტის შესავსებად და ეგვეც თქვენ რომ გადამოგვცემ, ქვეყანამ რიდათი უნდა იარსებოს!”

აი რა განსხვავებაა ბატონ ალექსანდრესა და პრეზიდენტობის მსურველ სხვა კანდიდატებს შორის! ქვეყანას არ სჭირდება არც დიქტატორი და არც “პლასტელინი” მოქნილი მმართველი. ქვეყანას სჭირდება ისეთი მაღალინტელექტუალური პოლიტიკოსი, როგორცაა ბატონი ალექსანდრე ჰაჭიაშვილი, რომლის თეორეტიკულ ფუნდამენტურ ნაშრომს – “საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ეროვნული იდეა”, – ანალოგი არ გააჩნია პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც გამოირჩევა დახვეწილი სახელმწიფოებრივი აზროვნებით, ღრმა შინაარსისა და დიდი პოლიტიკური დატვირთვის მქონე პუბლიკაციებითა და სატელევიზიო გამოსვლებით და რომელიც ერთნაირად დიდი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც რუსებს, ასევე ამერიკელებს, ევროპელებს, აფხაზებსა და ოსებს შორის და სწორედ ამიტომაც ხელეწიფება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ნეტავი, სხვა რადა სჭირდება ღირსეული არჩევანის გაკეთებას? როლანდ ჯალაღანი, “აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიის წევრი

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ფესვები

(თემა, რომელსაც დასასრული არასოდეს ექნება)

ქალაქ სოხუმში, ქართველ მწერლებთან შეხვედრის დროს, გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მრავალმხრივი, მნიშვნელოვანი, მართალი და გულწრფელი სიტყვა წარმოთქვა იმჟამად აფხაზეთი მწერალთა კავშირის მდივანმა კონსტანტინე ლომიამ: “მე განგებამ მარგნავა ვყოფილიყავი მოწმე ბედნიერი შემთხვევისა, რომელსაც ორმა სახალხო პოეტმა, ქართული და აფხაზური პოეზიის ორმა ბუმბერაზმა – გიორგი ლეონიძემ და დიმიტრი გულიამ, ერთმანეთს ხელიხელგადახვეულებმა სურათი გადაიღეს. დღეს, როდესაც მე დავეცქირი ამ ფოტოს, მინდა იგი შევადარო ვეგლახე საუკეთესო ლექსს, რომელშიც ხორცშესხმულია ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა. ამ ორი დიდი პოეტის თანამშრომლობა და მშობა ჩვენთვის ყოველთვის იქნება ამაღლებული ხატება, სანიმუშო მაგალითი... ამის დასტურია დიმიტრი გულიას მრავალი პოეტური ქმნილება ქართველ ხალხზე და გიორგი ლეონიძის ბრწყინვალე ლიტერატურული სტრიქონები მშობლიურ აფხაზეთზე და მის ხალხზე...”

როდესაც გიორგი ლეონიძეს თბილისში უხვდინენ იუბილეს, აფხაზეთიდან ჩავიდა დელეგაცია მწერალთა კავშირის მდივნის, პოეტ ივანე თარბას ხელმძღვანელობით, რომელშიც იუბილეს გადამცა სანუქარი – აფხაზური ხალხური საკრავი “აფხიარცა” – ორი მომხმარებლის საუკუნოვანი მეგობრობის დასტურად. მეორე დღეს იუბილეს აფხაზეთის დელეგაცია სახლში მიუწვევია და მოქაშაობს: “თქვენ ისეთი დიდი საჩუქარი მომართოთ, რომ მასზე ლექსი უნდა დავწერო”. ასე დაბადებულა ქართული ლირიკის შედევრი “აფხიარცა”

– ორი ერის მშობის სადიდებელი, და მეორე დღესაც გამოქვეყნებულა გახეთქი: “სულ მესმოდა შენი ოთხოვლა, შენი მღერა, შენი ხმაცა, ფანდურის ძმა, ხმადამტკბარო აფხაზურთ აფხიარცა... ერთ არწივის ორი ფრთა ხართ, ერთი დიდი გულითქმაცა!”

ახეთივე გულწრფელი დამოკიდებულება, დიდი სიყვარული, ჭეშმარიტი მეგობრობა, ურდევნი მუხობლობა და სიახლე აკავშირებდათ აფხაზეთთან ქართული სიტყვის დიდოსტატებს მუხრან მაჭავარიანს, იოსებ გრიშაშვილს, ხუტა ბურულავას, რევაზ მარგინას, შოთა ნიშინიძეს და სხვა მრავალთ, რომლებმაც შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი მომხმარებელი

ერთა ურყევი კავშირის განმტკიცებას მიუძღვნეს.

ქართველთა და აფხაზთა შორის არსებული ძირძველი მეგობრობის შენარჩუნებაში, შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებაში უდიდესი როლი მიუძღვის აფხაზეთის სახალხო პოეტს, აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელსა და მამამთავარს, დიდ მესიტყვეს და განმანათლებელს, ქართველი მწერლების, პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების დიდ მეგობარს დიმიტრი გულიას.

მას ქართველები და აფხაზები ერთ ხალხად მიანდა, ერთი განუყოფელი ოჯახის შეილება. აი, რას სწერდა იგი ერთ-ერთ წერილში:

“ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწისზედაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ჩვენ რომ ვთქვათ მომხმარებელი ვართო, – ეს ცრუა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს, არა მგონია, ვინმე ჰყავდეს უფრო ახლოვანი ძმა, ვიდრე აფხაზია. აფხაზებსაც ასე მიანდათ – ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის ენით რომ ვთქვათ, “იგი თავისა მტერია”.

დიმიტრი გულიამ უთუოდ დიდი პატრიოტული საქმე შეასრულა, როდესაც თავის ენაზე თარგმნა, აამტკიცებდა ნაწევრები რუსთაველის “ვეფხისტყაოსნიდან”, აფხაზ მითხველებს გააცნო ილიას, აკაკის, ვაჟას, ვახუშტის, ლეონიძის, შანშიაშვილის და სხვა ქართველ შემოქმედება ქმნილებები.

1932 წელს თბილისში გამოქვეყნდა დიმიტრი გულიას ლექსების პირველი კრებული, 1937 წელს მას მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და აფხაზეთის სახალხო პოეტის წოდება.

ჩვენს ხალხებს შორის ძმობისა და მეგობრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო სიმბოლო გახლდათ აფხაზეთის მეორე სახალხო პოეტი ბაგრატ შინკუბა.

პოეტმა, სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში, აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელები იყვნენ ცნობილი ქართველი სწავლულები გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია, ქეთევან ლომთათიძე. ბაგრატის თბილისში დაუკავშირდა ქართულ შემოქმედებით სამყაროს, სამეცნიერო წრეებს, გაიცნო და დაუმეგობრდა სახელგანთქმულ მწერლებსა და მეცნიერებს. განსაკუთრებით ახლოს იყო რევაზ მარგინთან, რომელთანაც მძაღ-

ნაფიცობა აკავშირებდა. ეს მეგობრობა და ძმური დამოკიდებულება, რევაზ მარგინთან და ქართველი მწერლების მთელ პლედარსთან, წარმოშვა და გააღვივა ურთიერთგაგებად, შემოქმედებით თანადგომამ, დიდმა პოეზიამ შემოქმედებით სულისკვეთებათა და რწმენათა ერთიანობამ, მშობლიური ხალხის, მამულის სიყვარულმა და ერისადმი უანგარო სამსახურმა. ბაგრატ შინკუბა თანაბრად ეხება და ეხმარება ჩვენს წარსულს, აწმყოსა და მომავალს და ამბობს:

“უასაკოა ლექსი ნამდვილი, ასაკი მხოლოდ მგონის ხვედრია...”

მან თავისი შემოქმედებით ხალხთა გულში გაიღვა ფესვი და მათი ღრმა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ბაგრატ შინკუბამ თავისი დიდი წვლილი შეიტანა მთარგმნელობით საქმიანობაში. როგორც შემოქმედი ამბობს – “თარგმანებზე მუშაობამ დიდად შემიწყო ხელი ჩაწვდომილი მალაი პოეტის საიდუმლოებს”. მან შესანიშნავად თარგმნა რამდენიმე ნაწევრი “ვეფხისტყაოსნიდან”, ბარათაშვილის “მერანი”, “შემოდამება მთაწმინდაზედ” და “ბუდი ქართლისა”, ცნობილი ლექსი “სულიკო”, აკაკი წერეთლის “გაზაფხული”, ვახუშტის “ხევისბერი ოჩა”, გალაქტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, რევაზ მარგინის და სხვათა ნაწარმოებები.

პოეტმა-აკადემიკოსმა გრიგოლ აბაშიძემ ასე შეაფასა ბაგრატ შინკუბას შემოქმედება: “ბაგრატ შინკუბა არა მარტო ღირსეულად ატარებს სახალხო პოეტის სახელს, არამედ ის არის აფხაზეთის ერთ-ერთი უდიდესი საზოგადო მოღვაწე, რომელიც დაუღალავად ზრუნავს – ჩვენს ხალხებს შორის ჭეშმარიტი მეგობრობის განმტკიცებისათვის.”

ბაგრატ შინკუბას დამსახურების ნათელი დადასტურება გახლდათ ისიც, რომ თავის დროზე, აფხაზეთის გალის რაიონის მშრომლებმა მას დიდი ნდობა გამოუცხადეს – საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად იგი ორჯერ აირჩიეს.

ასევე მაღალი, გულწრფელი სიყვარულითა და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ მომხმარებელი ხალხთა შორის უდავოდ წარმოდგენილი ერისკაცები: გიორგი გულია, იუნა კოდონია, სამსონ ჭანბა, ივანე პაპასქირი, მიხეილ ლაქერბაი, ლეონიდ კვიციანი, ლ. ლაბაზუა და სხვა მრავალი.

ასევე, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა გალის რაიონის მცხოვრებლებს შორის ცნობილი პოეტი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრი ივანე თარბა. იგი ხშირად იყო

ხოლმე რაიონის სასურველი სტუმარი, დიდ ყურადღებას აქცევდა რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გამართულ საქმიანობას. ივანე თარბა გახლდათ ჰუმანისტი შემოქმედი, ხალხთა შორის ურდევნი კავშირის მქადაგებელი, მეხობე და მომღერალი. იგი წერდა:

“დიდა ზეცა, დიდა მიწა, და ჩვენ ეჭვებით ნულარ შევლობათ... ეს ცა და მიწა, სიცოცხლეს ვფიცავ სიცოცხლისათვის ყველას გვეყოფა.”

ლიტერატურის ისტორიაში ძმობისა და მეგობრობის შესახებ არსებულ აურაცხელ მაგალითთა შორის, დიდი სიამაყის გრძობით უნდა აღინიშნოს სახელოვანი აფხაზი მწერლის მიხეილ ლაქერბაიას ერთ-ერთი ნოველა “ნევი”, სადაც აღწერილია ჯვარდელ აფხაზ თემურ ამიბასა და წაღწევი ელიზბარ კვარაცხელიას მძაღნავიცობისა და ურთიერთგაგების გასაოცარი მაგალითი.

ეს პატარა მოცულობის, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობის ნოველა, ქართველთა და აფხაზთა სწორუპოვარი ურთიერთობის ისტორიის ოქროს ფონდში დიდ განაძღ შემორჩება.

ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის ჰიმნად აღიქმებოდა და საამაყოლად გვეყოფა, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ტახტის მემკვიდრის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შერვაშიძის მრავალფეროვანი შემოქმედება, რომელსაც ეკუთვნის უდიდესი მნიშვნელობის მქონე სიტყვები:

“ჩვენს სამშობლოს – ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია... ჩვენ შეგვიძლია თამამდაც ვთქვათ: იბლისს უკუღმართობას ხელი რომ არ შევშალო, ვეროპის წინაშე ვიქნებოდით დღეს... როდესაც მოციქული აქ ქრისტეს მცნებებს გვიქადაგებდა, მაშინ ვეროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფხვნიშველი, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეში!”

... და ასე ურთიერთდამომობილებულ, ერთმანეთთან წარსულით და აწმყოთი მყარად შენივთებულ მომხმარებელთა შვილებს, – როგორ უნდა აღეშრათთ ხმალი ერთმანეთის დასახოცად, ერთმანეთის სიხლის დასაღერად, ისიც XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე – საკვირველია, საოცარია, დაუჯერებელია, მაგრამ, ვაგლახ, რომ ფაქტია! ადამიანთა ბუნების რეალობის წინაშე აღმოჩნდით. მისი შემზარავი, შემადრწუნებელი შედეგებით სინამდვილეს ვერსად ვერ გავუქცევით!

რ. შალამბერიძე

2005 წლიდან რუსეთმა აფხაზეთს 484 მილიონ 848 ათას 484 დოლარი გაამოუხმო, დღეს კი პიდეშ 33 მილიონ 333 ათას 333 დოლარს გაამოუხმოს

2005 წლიდან რუსეთმა, აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის კომპლექსური გეგმის შესაბამისად, მას 16 მილიარდ რუბლზე მეტი ფინანსური დახმარება გამოუყო (484.848.484 აშშ დოლარი, 11.07.2013-ის კურსის მიხედვით – საქინფორმი), ხოლო 2013 წლის ბოლომდე კიდევ 1,1 მილიარდ რუბლს გამოუყოფს (33.333.333 აშშ დოლარი, 11.07.2013-ის კურსის მიხედვით – საქინფორმი). ეს ციფრები ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში რფ-ის პრეზიდენტის სრულყოფილი განცხადებით წარმომადგენელმა ალექსანდრ ხლოპონინმა თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ყოფნისას დაადასტურა.

აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას ხლოპონინმა განაცხადა, რომ რუსეთი მხარს უჭერს აფხაზეთს: “კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო პრეზიდენტის (რფ ვ.გ. პუტინის – საქინფორმი) და მთავრობის თავმჯდომარის (რფ ვ.გ. მედვედევის – საქინფორმი) სიტყვები, რომ ჩვენ ყველანაირად მხარს უჭერთ აფხაზეთის პრეზიდენტს და მის

პროფესიულ გუნდს და გავაკეთებთ ყველაფერს, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, რომ რესპუბლიკა რაც შეიძლება სწრაფად აღდგეს”.

თავის მხრივ, აფხაზეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ანჟე-აბმა განაცხადა, რომ რუსეთის მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვა რესპუბლიკის მთავრობის მიერ კონტროლდება: “თქვენ იცით, რომ აფხაზეთში შექმნილია კონტროლის პალატა, იქნება საუწყებო კონტროლი და ჩვენ განწყობილი ვართ მთლიანობაში ძალზე პროდუქტიული საქმიანობისათვის”.

მან ასევე აცნობა დამსწრეთ, რომ წინა პერიოდის განმავლობაში – 2010-2012 წწ – რუსეთის მიერ გამოყოფილი ფინანსური სახსრები (10,9 მილიარდ რუბლი – 330 303 030 აშშ დოლარი, 11.07.2013-ის კურსის მიხედვით – საქინფორმი) – უკვე ათვისებულია. აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა ლეონიდ ლაქერბაიმ ასევე დაამტკიცა აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის საინვესტიციო პროგრამის პირველი ეტაპი 2013-2015 წლებისათვის.

70 ჰემობარზე ბალი გაშენდება

1210-2012 წლები შეიძლება ჩაითვალოს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის აღორძინების წლებად, რადგან ომის შემდგომ წლების პერიოდი დიდად არ გამოირჩეოდა ამ დარგის წინსვლით. რუსეთის მიერ დაფინანსებული “აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის” თანახმად აფხაზეთის აგროსამრეწველო კომპლექსს გამოეყო 721 მილიონი რუსული რუბლი. შესაბამისად, 2010 წელს ათვისებულ იქნა 250 მილიონი რუბლი, 2011 წელს – 140 მილიონი რუბლი, 2012 წელს კი 330 მილიონი რუბლი. ჩატარებული სამუშაოების შესახებ გვესაუბრება აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი ბესლან ჯოჟუა:

“2010 და 2011 წლები იმით იყო გამორჩეული, რომ ძირითადად დაკავებული ვიყავით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენით და აფხაზეთში შემოყვანით. საერთო ჯამში ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის ბაზა შეივსო 121 ერთეულით, რამაც განაპირობა საბოლოო წარმატება. ყველა რაიონში შეიქმნა შესაბამისი სარემონტო ბაზით აღჭურვილი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები (რასაც ვერსაზოით ვერ მივაღწიეთ საქართველოში – ვაზ. “ილორი”), რის შემდეგაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გადაუნაწილდათ რაიონებს შემდეგი თანმიმდევრობით:

- გალის რაიონს – 16 ერთეული;
 - ტყვარჩელს – 10 ერთეული;
 - ოჩამჩირეს – 20 ერთეული;
 - გულრიფშს – 18 ერთეული,
 - სოხუმს – 10 ერთეული;
 - გუდაუთას – 20 ერთეული;
 - ბაგრას – 9 ერთეული.
- გარდა ამისა, 6 ერთეული ტექნიკა გადაეცა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და 5

ერთეული – სახელმწიფო გაერთიანება “აფხაზ-ჩაის”.

2011 წელს აფხაზეთში დაიწყო ხეხილის დარგის სამუშაოები, რისი მოზადებისთვისაც სოფლის მეურნეობის ინსტიტუტს ჩაერიცხა 30 მილიონი რუბლი. სულ აფხაზეთის მასშტაბით, სხვადასხვა რაიონებში, ხეხილისათვის, გაიწმინდა და მოზადდა 170 ჰექტარი ფართობი და კონკრეტული სამუშაოები გაიშალა 2012 წელს.

წელს უკვე მზადაა ხეხილის ბაღები მთელ აფხაზეთში. ვაშლის ნერგები იტალიიდან ჩამოიტანეს. ესაა ტანმორჩილი ხეები, რომელიც მსხმოიარობით გამოირჩევა და ერთ ჰექტარზე 30 ტონა ვაშლს იძლევიან. ჰექტარზე 2100 ხე ირგებდა. კაკლის, ფეიხოსის, ლეღვისა და ხურმის ნერგები გამოიყვანეს სპეციალურ სანერგეში, რომელიც სოფლის მეურნეობის ინსტიტუტმა ააშენა. შემოდგომაზე ხეხილით კიდევ 80 ჰექტარი ფართობი დაიტვიტება.

ამრიგად, ახალგაშენებული ბაღები უკვე სამ წელიწადში მოგვცემენ პირველ მოსავალს, რაც კიდევ ერთი წინადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოფლის მეურნეობაში.

ამავე დროს, მიღწეულია შეთანხმება რუსეთის კომპანის “იუპოლიეთან”, რომელიც აფხაზეთში ააშენებს წვეთოვან სარწყავ სისტემას. კომპლექსური გეგმის ფარგლებში მოხდება სხვა პროექტების რეალიზაციაც.

კერძოდ, ქვეყნის პრეზიდენტის ალექსანდრე ანჟე-აბის დაავალებით მოხდება ჩერნორეჩენსკის თევზსაშენის აღდგენა, რისთვისაც უკვე მზადდება კონკრეტული ხარჯთაღრიცხვა. ამ პროექტის დირექტორებია 57 მილიონი რუბლი.

ასევე მიდის მუშაობა მებოსტნეობის დარგის განვითარებისათვის.

ჩვენი დღევანდელი სტუმარია ცნობილი ქართველი პოეტი, მთარბმწერი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, უკრაინის საბანკო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიის რესპუბლიკაში ბატონი რაულ ჩილაჩავა

ამას წინათ ბატონმა რაულმა რედაქციაში შემდეგი შინაარსის წერილი გამოგვიგზავნა:

“ორი დღეა, გკითხვობ “ილორს”, რომელიც, როგორც ვატყობ, გამორჩეული ქართული გაზეთია თავისი ეროვნული ბით, ზოგადქართული პატრიოტიზმით, ანალიტიკურობითა და ენობრივი სიწმინდით.

ჩვენი გადავითვალისწინებთ თქვენს ფონზე იგი მართლაც მაცოცხლებელ ოაზისად მონანს, სადაც მიუკერძოებელ მკითხველს შეუძლია სულიც მოითქვას და გონებაც დააპუროს. განსაკუთრებით საშური საქმეა ის, რომ “ილორს” ენგურს გაღმაც კითხვობენ. ასეთი სახელწოდების გაზეთს შეუძლებელია სხვა მიზანი ჰქონდეს, ვიდრე ჩვენთვის ისტორიულად ჩვეული დიდებულებების, კეთილგონიერებისა და დევისიონსაობის აღორძინება, სასიკეთო და სამშვიდობო გზების ძიება. სხვა წერილებთან ერთად დიდი ინტერესით წაგიკითხე ბატონი დავით ქობაძის მიერ შექმნილი წერილები “კურხა” და “სიკვდილის უღელტეხილი”, რომლებიც ერთხელ კიდევ გვისწინან ძველ, მთაწვეთურ იარაგებს, გვიჩვენებენ ქართულ-აფხაზური ტრადიციის ანატომიას, გვაფიქრებენ ამ ტრადიციის ძირისძირებზე. დიდი მადლობა, რომ მომეცით მათი წაკითხვის საშუალება.

სამომავლოდ სიამოვნებით ვითანამშრომლებდი თქვენთან როგორც პოეტი, მთარბმწერი, პუბლიცისტი, რადგან ჩვენი პოზიციები პრაქტიკულად ერთმანეთს ემთხვევა. სხვათა შორის, მე მივაქციე ყურადღება თქვენი გაზეთის დაინტერესებას ბერიას პიროვნებით. მე ძალიან ახლოს ვიცნობდი სერგო ბერიას და წიგნიც გამოვეცი სახელწოდებით “ლავერენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს”. იგი შარშან გამოსცა “არტანუჯმა”. საერთოდ, თბილისში მიწვევა კიევი და რიგაში გამოცემული ოცამდე დასახელების სხვადასხვა წიგნი, რომელთა ანოტაციების გამოკვლევებაც კი საშური საქმე იქნებოდა ჩემთვის.

შემოდგომაზე როცა ჩამოვალ, აუცილებლად გეწვევით რედაქციაში და, ვიმედოვნებ, ბევრ საინტერესო რამეზე შევთანხმდებით.

ჩემი გულითადი მოკითხვა როლანდს და მომავალ შეხვედრამდე! საუკეთესო სურვილებით, რაულ ჩილაჩავა”

მცირე მსაჯულს ბატონ რაულ ჩილაჩავას მდიდარ შემოქმედებაში ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს...

ახლახან ბატონმა ოთარ ჭითანავამ სახუქრად გადმომცა ლამაზად გაფორმებული წიგნი სათაურით “ლავერენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს...”. ეს გახლავთ ინტერესივ ლავრენტი ბერიას შვილთან – სერგო ბერიასთან, რომელიც ჩაწერილია ჭეშმარიტად საამაყო ქართველის, ცნობილი პოეტისა და სახელმწიფო მოღვაწის რაულ ჩილაჩავას მიერ. ნამდვილად ზღვა სამუშაო ჩაუტარებია ბატონ რაულს, რაზედაც მეტყველებენ მისი მიერ დასმული კითხვების სიღრმე, პრობლემატა ჭერების გახალისებელი უნარი, ლავრენტი ბერიას სახელთან დაკავშირებული უამრავი ბურუსით მოხილი ფაქტის გამოაშკარავების სურვილი!

რაულ ჩილაჩავა წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: “...თავისი სიცოცხლის ბოლო ათი წლის მანძილზე ბატონ სერგოს საშუალება მიეცა პირადად მოეთხრო საკუთარ თავზე და იმ სასტიკ დროზე, რომელშიც მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა...”

დრო კი მართლაც სასტიკი გახლდათ, მაგრამ ბატონი რაულის მიერ გაკეთებული აქცენტები გვარწმუნებენ, რომ ბერიას ბევრი ცოდვა საცხებით დაუმსახურებლად მიაწერეს. ეს, თავის დროზე, თვით ნიკიტა ხრუშჩოვმაც კი აღიარა ჟურნალ “ოგონიოკში” გამოქვეყნებულ წერილში: “მაშინაც კი, როცა ჩვენ ბევრი რამ გავიგეთ ბერიას სასამართლოს შემდეგ, პარტიასა და ხალხს არასწორი ახსნა მიეცით და მშველად ბერიას გადაგვბრალეთ...”

ბევრი რამ მოუხსრო სერგო ბერიამ ბატონ რაულს, მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრად მეტი რამის მოთხრობა ვერ მოახწრო, რაზედაც იგი გულდაწყვეტილი წერს: “გული მწყდება, რომ შეკითხვაზე: “ბატონო სერგო, შეიძლება გამოვიაროთ?”

ამიერიდან ვეღარ გავიგონებ მის ტაბილქართულ პასუხს: “რააა არა, მოდი!”

მხოლოდ ცხოვრებისეული ინტერესი და წესია პიროვნების მენტალიტეტის განმსაზღვრელი, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ უტყუარ გენეტიკურ ფაქტორს, მაშინ თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, თუ რას წარმოადგენდა ბერიას ოჯახი და რას წარმოადგენდა ნიკიტა ხრუშჩოვის ოჯახი.

ნიკიტას შვილს, სერგო ხრუშჩოვს არაერთი პატივი და შეღავათი არ დაკლებია მას შემდეგაც კი, როცა მამამისი 1964 წლის ცეკას პლენუმზე მოხსნეს თანამდებობიდან, მაგრამ მან პირველივე შესაძლებლობისთანავე უნანებლად დასტოვა სამშობლო და ამერიკაში გადასახლდა. სერგო ბერიამ კი, რომელმაც გაუძლო უამრავ განსაცდელს, ტანჯვასა და შეურაცხყოფას, სამშობლო არ მიატოვა და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე უანგაროდ ემსახურა მას, ზუსტად ისევე, როგორც მამამისმა – ლავრენტი ბერიამ. არა და, კონსოლური კვლევის ისეთ დიდ მეცნიერს სერგო ბერიას “ტვინებზე მონადირე” ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრად უფრო დიდი სიამოვნებით მიიღებდნენ, ვიდრე მამამისივით უფერულ და არაფორმქმნელ სერგო ხრუშჩოვს.

ახლა, თავად გააკეთეთ დასკვნა, ვინ გახლდათ იმპერიალიზმის აგენტი – ნიკიტა ხრუშჩოვი თუ ლავრენტი ბერია!

გაზეთ “ილორის” მკითხველთა სახელით დიდ მადლობას ვუხდით ბატონ რაულ ჩილაჩავას ესოდენ საუნტერესო წიგნის გამოცემისათვის, რომლიდან ნაწვევებსაც მალე გამოვაქვეყნებთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

როლანდ ჯალაღანია

ახლა კი ჩვენი ბაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ბატონი რაულის თარგმანებს ციკლიდან „ლატვიური დანიები“

პაწაწკინებულ ნავი მყავს, შემოფხვნილი აფრათ, პოდა, სხვა მეთევზეებსა დავეწყოლი რაფრათ!

მე ვერმიხდილად რომ ჩადის, გაემტყუნება განათ: ნავი წასულა ფსკერისკენ ვერცხლისფერაფრიანათ.

არც რა მიჭირდა, ტყის პირას მქონდა საყანე ველიო. ხუთი ირემი ხნავდა და ფარცხავდა ქვესი შეველიო.


ტყეში დუმული ვარჩიე, მინდორში სახე ვმალო. ტყეში ბუერია მსმენელი, მინდორში – მოთვალთვალეო.

ბიჭო, ხმა შემომაშველე, დაგვწვას სიმღერის აღმაო. ისე დაგიწვეე ჩვენს შორის ველარ გაუონოს წყაღმაო.

დაიცა, საით მოძვრები, ბიჭო, ჩამხადო ღამისა. ჯერ ხომ არ გადაგვხდა გუშინწინდელი ღამისა.

აქ მოდი, კობტა ბიჭუნაე, ხომ მოგწონს ჩემი კვნესაო. ფუტკრებმა თაფლი შემახსნეს მუცლის ბოლოში დღესაო.

თარგმნა რაულ ჩილაჩავამ



ლატვიური ბერიას ვაჟი მოგვითხრობს...

რაულ ჩილაჩავა

რუსეთის ბაზარს 400 ათასი ლიტრი ქართული ღვინო მიეწოდა

როგორც ამბობენ, ნახევარი საუკუნეა და 2013 წლის დასაწყისიდან რუსეთს უკვე 400 ათასი ლიტრი ქართული ალკოჰოლური პროდუქტი მიეწოდა. ამის შესახებ „როსპოტრენბაღზორის“ ოფიციალური საიტი იტყობინება.

უწყების ცნობით, 2013 წლის დასაწყისიდან ალკოჰოლური პროდუქციის 22-მა და მინერალური წყლების ორმა ქართველმა მწარმოებელმა მიიღო ექსპორტის დასკვნა პიკინურ ნორმებთან აღნიშნული პროდუქციის შესაბამისობის თაობაზე. გაფორმდა 294 მოწმობა პროდუქციის სახელმწიფო რეგისტრაციაზე, მათ შორის ორი – მინერალურ წყლებზე.

2013 წლის განმავლობაში საქართველოდან რუსეთში ალკოჰოლური პროდუქციის 80 პარტიაა მიწოდებული.

როგორც ჩანს, რუსი მომხმარებელი მონატრებულია ქართულ პროდუქციას, რადგან, როგორც ერთ-ერთი რუსული ინტერნეტსაიტი იტყობინება, ქალაქ მოსკოვის სავაჭრო ქსელში გამოტანილი 200.000 ბოთლი ქართული ღვინო დაახლოებით ერთ საათში გაიყიდა. და ეს მაშინ, როცა ქართული ღვინო ბევრად უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნების მიერ წარმოებული ანალიოგიური პროდუქცია. იგივე შეიძლება ითქვას “ბორჯომის” თაობაზეც, რომლის მიმართ რუსი მომხმარებლის ინტერესი კვლავინდებურად დიდია.

იმედია, რომ რუსეთის ბაზარზე ბევრი სხვა ქართული პროდუქციაც გაიკვლევს გზას, რაც უთუოდ დადებით გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.



შსს-მ 116 კმ ჰეროინი ამოიღო, რომლის ღირებულება რამდენიმე ათეული მილიონი დოლარია!

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ახალციხის ტერიტორიაზე დააკავეს თურქეთის და მოლდოვის რესპუბლიკების ორი მოქალაქე.

დაკავებისას თურქეთის მოქალაქე მართავდა „მერსედის“ მარკის სატვირთო ავტომანქანას მოლდოვის რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმო ნიშნით. მას თან ახლდა მოლდოვის მოქალაქე.

სატირთო ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, რომელიც სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით ჩატარდა, აღნიშნული ავტომანქანის ძარაზე დამონტაჟებულ სპეციალურ სამალავებში აღმოჩენილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით, კერძოდ, 500-გრამიან შეკვრებად დაფასებული 232 ერთეული ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, საერთო წონით 116 კგ.

გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა მიმდინარე წლის 3 ივლისს გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ნინოწმინდის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით. თურქეთის მოქალაქემ საქართველოში საერთაშორისო გადაზიდვისათვის უკანონოდ შემოიტანა 116 კგ ჰეროინი, რომლის ღირებულებაც რამდენიმე ათეული მილიონი დოლარია.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით. ისე, “ნაცების” მხარდაჭერისა და მფარველობის გარეშე ვერავინ გაბედავდა საქართველოს გავლით ამდენი ნარკოტიკის გატანას!

საქმინფორმირი

პოეზიის კუთხე

შტირენაშა ვა მოშქურუ, მოშქურ შურიშ უკმელაშა, ქუმორჩქინას მუსხი მემიძ თი ქიანაშა გინულაშა... ბრელ ხანი რე ხაზირ ვორექ თი ქიანაშა მაულარო, ღორთონ, შარა გომსინთორი სქან სარხოშ მიოულარო...

მარბალეფიში მუშ ყებურს ახავაი, ვოი, ნანა! მარბალს ნინას მიდმულანა, გურ მისორცქე, შურ ეშმოლე ვეგნმაღინე ათე წანა... ირფელქ თაში გეგინდორდა დერუმბეუ ბუა დო ჩხანა, მარბალეფი მუშ ყებურე მალას დანხირს ვეკარხანა... რამაზ კუპრა

კოს კოჩანა ვაუღულა “კოს კოჩანა ვაუღულა, მუს უკეთეს ბრელ ფარა!” თაშ რაგადანდ ჯვეშე მარბალ, თიშენ უღულ ბერსელ ჭყანა. ისტორიას ვაუჩქ მარა, ქუმურს თიში ბორჯი დო ხანა, გუახალბ თე ჯვეშ ზისხირ, დო მიჩამ კოს კოჩანა. ფარამ რინა გეხვილურ რე, ვე მითა სკან ღირალა, მარა თაშ რე პატის ორდე, ვერგუ ქვირთუ უღირალა. ირფერ ოშკეთ ანაწილე, ფარა ჯიბეს, გურს კოჩანა, არხ დო გონს გაანაწილე, ჯვეშე ეფშა ნაბაჩვალა: “კოს კოჩანა ვაუღულა, მუს უკეთეს ბრელი ფარა!” თაშ რაგადანდ ჯვეშე მარბალ, თიშენ უღულ ბერსელ ჭყანა. მალხაზ ბრიტოლია, აბაშა

ქართველური ენები და „ევროპული ქართია რეპრონალური და უმცირესობათა ენების უსახეო“

(ქართველი „ფუტ-ლინგვისტები“ და „ერთობლივი

საქართველოსთვის“ მებრძოლი მათი ისტორიკოსი მიმდევრები)

მინცი თოფი გილუღ, მარა იშენ ვარე მონადირე, შხვაშნოტყელც გაზუმინუ, მუჭოთ ჭანდი – მოლაღირე, თოლი არბას ალაბრსხუნა, მარაზღვა-ქეინც აკაორწყე... ჭიფელია ჭინიშ ღობერ სქვამას ირ კოც ვაწიროწყე. (ლაშა ბახარია, მებრძოლი პოეზია)

საკუთარ სისხლითა და ხორციით თანამოქმედების ენებს თუ ასე გინდათ „მოუაროთ“, ჩვენი არაქართველი თანამოქალაქეების ენებს ვითომ უფრო „იდეალურად“ რომ მოუვლით, მაგას დაგიჯერებთ ვინმე?

ბატონი ფუტკარაძე სომხეთის მიმართ დაშვებულ „ტექნიკურ შეცდომებს“ რომ „უსწორებს“ ევროსაბჭოს სამდივნოს ან სომხებს რომ აკრიტიკებს, „...პოლიტიკური მოსაზრებებით შეივანეს რუსული ენების ქარტიაში“-ო, იქნებ სომხებმა იმ-იტომ შეიტანეს რუსული „ენების ქარტიაში“, რომ იგივე მოითხოვონ რუსეთისგანაც სომხურის მიმართ? იქნებ ის სხვა ენებიც ჩამოეთვალათ ავტორებს, სომხებმა რომ მიუჩინეს ადგილი „ენების ქარტიაში“; ვითომ დაიშლება ამით სომხეთის სახელმწიფო?

ვითომ რა მოხდებოდა ჩვენთან თუნდაც უდიდესი, ასირიული, ოსური, აფხაზური, აზერბაიჯანული ან სხვა უმცირესობათა ენები ისე მოხვედრილიყვნენ „ქარტიაში“, რომ მათი ჩამოსვლის „წლები“ და „საუკუნეები“ არ დაგეთვალათ, მითუმეტეს თუ ეს „დათვლები“, რომლებსაც თქვენი კვირისდამკვერი ისტორიკოსები ეწვიან, ხშირ შემთხვევებში მაინცდამაინც დიდი სიზუსტით არ გამოირჩევა.

გერმანელებმა რომ „ქვემო გერმანული“ აღიარეს ენად, ეს აღიარება განა „ქვემო გერმანელების“ ცალკე ეთნოსად გამოცხადებას ნიშნავს?

რაც შეეხება მებრძულ-ლაზურსა და სვანურ ენებს: შეურაცხყოფელი მათი მართლ „დიადეკტებად“ გამოცხადება კი არ არის, ნამდვილი შეურაცხყოფა ამ კუთხის შეილებსთვის არის ის „მოსალოდნელი საშიშროებანი“, რომელსაც თქვენ და თქვენი მფარველები ამ ენების არსებობასა თუ „ენების ქარტიაში“ მათ მოხვედრას უკავშირებთ: „კეთილშობილური მიზნის მქონე ევროპული დოკუმენტები არავითარ საფრთხეს არ შეიცავს, თუმცა მათ რატიფიკაციას საქართველოსთვის საგალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს, თუკი საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაცია ოფიციალურად აღიწერება ე.წ. სამითხი ქართველური ენების თეორიის მიხედვით: კერძოდ „რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ“ ევროპული ქარტიის რატიფიკაციის შემდეგ საქართველოს ენათა ჩამონათვალში თუკი 2-3 „უმწიგნობრო ქართველური ენა“ დაფიქსირდება, ხელოვნურად წახალისდება ქართველთა ეთნიკური პარციაცია და სეპარაცია; ძირფესვიანად შეირყევა ქართველი /ერის/ეთნოსის მრავალსაუკუნოვანი ერთობა და, დროთა განმავლობაში შეიძლება გაგვირდეს ისეთივე პრობლემები როგორც გვაქვს აფხაზეთსა და ოსეთთან დაკავშირებით“.

გავებდავ და შევესიტყვები ამ სტრიქონების ავტორებს, მიუხედავად მათი სასულიერო თუ სამეცნიერო რანგებისა: – მრავალსაუკუნოვანი ერთობა – ეს ერთობა აქამდე თუ არ დარღვეულა, ახლა XXI საუკუნეში, როდესაც დამოუკიდებელ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რა ღმერთი უნდა გაგვიწყრეს ამ „უმწიგნობრო“ ენის პატრონებს, მითუმეტეს როცა ამ ერთობისათვის სხვაზე ნაკლებად არ გვიბრძობია?

– „ისეთივე პრობლემები, როგორც გვაქვს აფხაზეთსა და ოსეთთან დაკავშირებით“ – იქნებ სადმე გაეშიფრა ამ შედარების ავტორს: ოსებისა და აფხაზების დადიანი-ფუტკარაძე-შეროხი-ასეული კლასიფიკაციის არაავტოქტონი, ისტორიულ ან ეთნიკურ უმცირესობად გვთვლის თუ დიასპორად, ანდა „აშკარა მიგრანტებად“? თუ არა და, ისეთივე

პრობლემები ნება რას უნდა ნიშნავდეს?

– რას მოითხოვთ ესლა, ერთგულების დასამტკიცებლად თუ სანაცვლოდ, უარი ვთქვათ საკუთარ, თუნდაც „უმწიგნობრო“ ენაზე, იმ ენაზე, რომელიც მართლა ზეპირად მოვიტანეთ აქამდე და ახლა, გლობალიზაციისა და ცივილიზაციის ამ ეპოქაში, იმის მაგივრად, რომ ყველანი ერთად გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ, ფუტკარაძე-გვანცელაძე-ტაბიძისა თუ მათი მიმდევრებისა და მფარველების საამებლად დავიფიქსოთ ამ ენების არსებობა?

„ენების ქარტია“, სწორედ რომ მოვლას და შენარჩუნებას ითვალისწინებს და არა იმას, რომ „საშიშროება კარზეა მომდგარი, ვინაიდან ახლა უკვე ევროსაბჭოს დოკუმენტების მცდარი ინტერპრეტაციით ცდილობენ დააკანონონ და სწავლებაც შემოიღონ ცალკეულ ქართველურ დიალექტებზე“ (გვანცელაძე, 2006, გვ 112).

მართალი ბრძანდება ბატონი გვანცელაძე: დიალექტებზე სწავლება მართლაც „საშიშა“ მსწავლელთა განათლების თვალსაზრისით;

ცრუობს ბატონი გვანცელაძე, როდესაც დიალექტებზე სწავლების შემოღების შესახებ წერს. არცერთ, მისგან თუ მისი მიმდევრებისგან აუვად მოხსენიებულ ქართველ თუ უცხოელ ენათმეცნიერს არ მოუთხოვია როდისმე, სადმე მებრძულ-ლაზურ და სვანურზე „სწავლების შემოღება/დაკანონება“; ან პროფესორი გვანცელაძე ვერ ხვდება განსხვავებას ენების სწავლასა და ენებზე სწავლებას შორის.

სანამ „საპატრიარქოსთან არსებული ენის პალატის“ წევრები გახდებოდნენ ფუტკარაძე-გვანცელაძე, იქნებ ეკითხა მათთვის ვინმეს 90-იან წლებში საქართველოს საპატრიარქოს რომ უწყობდნენ თანამომხრებთან ერთად მიტინგებს და იმავე ეპითეტებით ამკობდნენ, როგორც დღეს თავის კოლეგა ენათმეცნიერებს, როდის იყვნენ გულწრფელნი?-გ.ო.

შეგნებულად ცრუობს თუ ვერ ხვდება განსხვავებას ბატონი გვანცელაძე, არჩევანი მისთვის მიგვიჩნია-გ.ო.

„ვინ იცის რამდენი ათეული საუკუნეა ათქმევიანებს ლექსი თავისთავს სვანურსა

და მებრძულზე მეტყველ პოეტებს და მადლობა ღმერთს, რომ მათ ეს შემოქმედებითი ენერგია, რომელიც ენაშია და რომლის ძალითაც სამყარო იძენს ფორმასა და სახეს, არ გამოლევიათ. საკითხავია, განა ეს თქმული ლექსები წერილი ანბანით ქართულად არ იწერებოდა? განა სხვა რომელიმე წერილი ენა არსებობდა მთელს სივრცეში უხველესი კოლხეთიდან უახლეს საქართველომდე?“ (ჯ. კაშია, მებრძული პოეზია – 2007, გვ.4).

რა უფლებები გვიკრძალავენ ბატონი ფუტკარაძე და მისი მიმდევრები თუ მფარველები ამ ანბანის გამოყენებას მებრძულისა თუ სვანურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. ან რა არის „აღმაშფოთებელი“ მებრძულ-ქართული ლექსიკონებისა თუ სხვა სახის გამოცემები: „XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, როცა რეალური გახდა საბჭოთა იმპერიის ნგრევა, ისევე გააქტიურდა მებრძული და ლაზური „დედა ენების“ და „ანბანების“ შექმნის საკითხი... იქნება „მებრძული დედაენაც“ „ნანაში ნინა“... რომლის ავტორია გიორგი სიჭინავა.

გამომცემელმა ნაშრომს დაარქვა „მებრძულ-ქართული ლექსიკონი“ (ტ. ფუტკარაძე – 2006, გვ. 40).

თუ მებრძული „დიადეკტის“ წერა შეიძლება ქართული ანბანით, მებრძული ენის წერა რატომ არ არის ვითომ შესაძლებელი?

დაუშვათ, გადავაკეთოთ ყველა ლინგვისტური თუ სოციოლინგვისტური თეორია ბატონი ფუტკარაძისა და მისი მიმდევრების მოთხოვნის დარად, მერე ამით რა? ვინმეს ჰგონია, რომ ამ კუთხის შეილება მაშინვე მებრძულ „დიადეკტზე“ ავლაპარაკებოთ:

მარგალური ჯგეფის წევრები
– ქორთულიში ჯერდვი-ჭვერხი, ორჩქილეთ –საღორთოთ ვაუწყორუაფუ ჭვახერხი, ყორფაში წყურგილე დო ღორთიში აბარწარე, უნა ბორჯიშ ნანგარა, გურიშ ელნაკარკაცარე.
ბია ოკუჯაშვა

მამულიშვილის გვირგვინი მამულის სამსხვერპლოზე ჰპილია

როგორც საზოგადოებისათვის მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გახდა ცნობილი, საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას ეუთოში განახლდა ტრადიციული ოთხშაბათობა, სადაც იტარებებან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები, დისიდენტები, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური თანამებრძოლები და კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მხარდამტკიცებლები, რომლებსაც თავყრილობის მთავარი მიზანია ბრძოლა საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის.

2013 წლის 3 ივლისს, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში საფუძველი ჩაეყარა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას კანონიერი, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს – აღდგენის ეროვნულ კომიტეტს, რის საფუძველზეც 2013 წლის 7 ივლისს, ითანე ნათლისმცემლის შობის დღეს დაფუძნდა ზემოხსენებული კომიტეტი, საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში.

კომიტეტის მთავარი მიზანია საქართველოში 1991-92 წლებში განხორციელებული სამხედრო კრიმინალური გადატრიალების შედეგად დამხობილი ლეგიტიმური უზენაესი საბჭოს და კონსტიტუციური ხელისუფლების სამართლებრივი აღდგენა.

კომიტეტის წევრთა ბრძოლა ეფუძნება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად არის უკიდურესად მშვიდობიანი და სამართლიანი.

ეროვნული კომიტეტი მოუწოდებს ქართველ პატრიოტებს, მათ, ვინც უანგაროდ იღვწის საქართველოში კანონიერების, სამართლიანობის აღდგენისათვის და ყველა

კეთილი ნების ადამიანს, შემოუერთდნენ აღნიშნულ სასიცოცხლო ბრძოლას საქართველოს გადარჩენად!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ ერთიან თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკას!

„...ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა და საჯდომელსა უშეულოთასა არა დაჯდა. არამედ შვეულსა უფლისასა არს ნებაი მისი და შვეულსა მისსა ზრახვან იგი დღე და ღამე. და იყოს იგი ვითარცა ხე, დანერგული თანა-წარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცის ნაყოფი მისი ჟამსა თვისსა და ფურცელნი მისნი არა დასცივივნ, და ყოველივე რაიცა ჰყოს, წარმართოს მას. არა ესრე უღმრთონი, არა ესრე არამედ ვითარცა მტვერი, რომელ აღგავის ქარმან პირისაგან ქუეყანისა. ამისთვის არა აღსდგენ უღმრთონი სასჯელსა, არცა ცოდვილნი ზრახვასა მართალთასა. რამეთუ უწყის უფალმან გზაი მართალთაი და გზაი უღმრთოთაი წარწყმედეს...“ – ფსალმური დავითისი – 1.

ეროვნული კომიტეტის სახელით:
გიორგი კერვალიშვილი,
ადამიანის უფლებათა დამცველი ბმსარტონ მიძაშვა,
იბერიულ-კავკასიურ მოძრაობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დავით ბერძენიშვილი,
ადვოკატი
ზურაბ ქობალია,
ჟურნალისტი

აი, ვის უხმარებია ამერიკელები: სირიელმა აჯანყებულებმა თავი მოკვეთეს კათოლიკე მღვდელს და კიდევ ორ ქრისტიანს!

წმინდა საყდარმა დაადასტურა ცნობა სირიაში კათოლიკე მღვდლის საჯარო სიკვდილით დასჯის შესახებ. როგორც ვატიკანის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, იდლიბში სირიელმა აჯანყებულებმა – ვა-პაბიტებმა სახალხოდ მოჰკვეთეს თავი ეპისკოპოსს და კიდევ ორ ქრისტიანს. 49 წლის ფრანსუა მორადს რვა დღის წინ მოჰკვეთეს თავი ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე მონასტერში. ლთისმსახურის სიკვდილის გარემოებები ბოლომდე გარკვეული არ არის, მაგრამ ცნობა იმის შესახებ, რომ წმინდა ანტონიუსის ფრანცისკელთა მონასტერის, რომელშიც ის იმყოფებოდა, ამბოხებულები დაესხნენ თავს, დადასტურებულია. როგორც ვარაუდობენ, თავდაშენებულს კავშირი ჰქონდათ ექსტრემისტულ დაჯგუფება „ან-ნუსრას ფრონტთან“.


მკითხველს შევახსენებთ, რომ ა.წ. 25 ივნისს გასანიას რაიონის პომსის პროვინციაში ტერორისტული ჯგუფი ფრანცისკელთა მონასტერში შეიჭრა. ბოუიკებმა ყველა ფასეულობა გამოიტანეს, სიწმინდეები წაბილწეს, და ხანდაზმული ბერი წამებით მოკლეს. ფრანცისკელთა ორდენის შტაბ-ბინიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ოპოზიციონერი ბანდიტები მონასტერში ძარცვის მიზნით შეიჭრნენ.

„დემოკრატიული“ საიტებიდან და YouTube-დან ეს ვიდეო უკვე გამოქვეყნებდნენ მეორე დღესვე მოხსნეს. აი, ვის უჭერენ მხარს აშშ და მისი ნატოელი მოკავშირეები – დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, პორტუგალია და სხვები! აი, ვის ეხმარებიან ისინი იარაღით, დაქირავებული მებრძოლებით, და აპირებენ მხარი დაუჭირონ თავიანთი რეგულარული არმიებთან! აი, ვისი გულისთვის აკრიტიკებენ

რუსეთსა და ჩინეთს, რომლებიც, 12 ქვეყანას შორის, 2011 წლის 5 ოქტომბერს გაეროში სირიასთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუციის წინააღმდეგ გამოვიდნენ!

გაზეთის მკითხველებს შევახსენებთ, რომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად, სირიის ოპოზიციურ ძალებს ამ ქვეყნის ხალხის „კანონიერ წარმომადგენლებად“ ცნობს და გმობს ბაშარ ასადის რეჟიმს. საულის არაბეთის და ყატარის მიერ დასავლეთის მხარდაჭერით მომზადებულ დოკუმენტის პროექტს ხმა მისცა 107 ქვეყანამ. 12 ქვეყანა, რომელთა შორის იყვნენ რუსეთი, ჩინეთი, სირია, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, წინააღმდეგ გამოვიდნენ. სამხრეთ აფრიკა, ინდოეთი და ბრაზილია იმ 59 ქვეყანას შორის იყვნენ, რომლებმაც თავი შეიკავეს. გასულ წელს რეზოლუციის, რომელიც ასადის რეჟიმს გმობდა, 133-მა სახელმწიფომ დაუჭირა მხარი.

საძინწორმი



რეპიონებში მდგომარეობა უპონტროლოა. ხალხი დაიღალა მოლოდინით

ბათუმის საერთაშორისო სესიაზე საქართველოს ხელისუფლების მიერ გაცხადდა, რომ ვილინიუსის სესიაზე დადებითად გადაწყდება ქვეყნის ეკონომიკური მომავალი. ჩვენ გავხედებით საერთო ევროპული სავაჭრო სივრცის სრულყოფილებიანი წევრი, რაც ეკონომიკურ წინსვლას შეუწყობს ხელს. მომავალი ცუდს არ გვპირდება. ამ ფონზე პრემიერის სურვილი წავიდეს ხელისუფლებიდან უამრავ კითხვას ზადებს.

საპარლამენტო არჩევნებამდე ივანიშვილი აცხადებდა, რომ ორი-სამი წლით დაიკავებდა სახელისუფლო სავარძელს და შემდეგ პოლიტიკიდან წავიდოდა. მის მიერ ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ნათქვამი ფრაზა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წავა, მოულოდნელი არ არის, მაგრამ საზოგადოებაში ზადებს არა ერთ კითხვას. საპრეზიდენტო არჩევნების მომენტისთვის მას გამოსდის ერთი წლის მოღვაწეობა. რატომ ამბობს უარს ძალაუფლებაზე ხელისუფალი, როცა ძალაუფლება მოქმედებისთვის მთავარი კოზირია?

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერებისათვის მთავარი სოციალური პრობლემების მოგვარება და სამართლიანობის აღდგენა იყო. სწორედ ამ საკითხებზე ელოდნენ სააკაშვილის მოწინააღმდეგენი პასუხს, (არა სიტყვიერ შეპირებებს), არამედ ფაქტობრივ მოქმედებას, რომ საქართველოში შექმნილი აღვირახსნილი ქმედებები (საკაშვილის „ამფსონებს“ ცა ქუდად არ მიანდათ და დედამიწა – ქალამნად) სამართლიანი და ჯანსაღი ცხოვრების წესებით შეცვლიდყო.

ქართული საზოგადოების უმრავლესობის დაშინება, დაშინტალება და სულიერად გატეხა ნაცემოდრობამ ვერ მოახერხა. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც სიცოცხლის რისკის ფასად მხარი დაუჭირეს ბიძინა ივანიშვილს, თავისუფალი და სამართლიანი საქართველოს მშენებლობას.

ხელისუფლებაში მოხვლის დროს ბიძინა ივანიშვილი იძულებული გახდა საკუთარი პასუხისმგებლობა წამოეწია წინა პლანზე. ეს სწორიც იყო, რადგან, სხვანაირად მოსახლეობის გაერთიანება ვერ მოხერხდებოდა, დაბალი ავტორიტეტის მქონე პარტიების გაერთიანების ხარჯზე. და რადგან მთავარი როლი ბიძინა ივანიშვილმა იტვირთა და სააკაშვილი მოძალადე რეჟიმი „შუაკაურით ბეჭებზე დასცა“, მოსახლეობა მისგან ელის და მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას და ეკონომიკური რეფორმების ბოლომდე მიყვანას.

თუმცა, მოსახლეობის მოლოდინი, რომ რადიკალურად შეიცვლებოდა მდგომარეობა ქვეყანაში, ნელი მოქმედების მოლოდინად დარჩა. მათ უნდებოდათ კითხვა, რატომ აქვს ნაცემოდრობის იდეოლოგებს „ამფსონები“? რატომ არ უბრუნდებათ ძალადობით წართმეული ქონება? რას ნიშნავს ის, რომ, განსაკუთრებით, რაიონებში კვლავ ბოვინებენ ხალხისთვის საძულველი „ნაცების“ წარმომადგენლები, რომლებიც მოწვევებით შეძენენ სხვადასხვა პარტიებში და კვლავ წარმოადგენენ ყოფილი ხელისუფლების დასაყრდენს. ასერხებენ და აწყობენ ეკონომიკურ და სხვა სახის საბოტაჟს? რატომ არ შეეხო ახალი ხელისუფლების „ქარი“ სოფლის გათამამებულ „ბლადარჩინებს“ და ასე შემდეგ... სამეგრელო-აჭარა სვანეთის გუბერნატორის თენგიზ გუგუნიას დაპატიმრება და სხვა წერილი ჩინოვიანების ჩამოშორება დამკვიდრებულ სისტემურ დანაშაულის აღმოფხვრას არ შეეკის. ცხადია, ივანიშვილმა „ეისერი მოუგრიხა“ ნაცემოდრობას და ბოლომდე გააშინებდა დანაშაულებრივი, მოძალადე სააკაშვილის „ხროვა“, რასაც შეალია კოლოსალური ენერჯია და ახლა თითქოს შეუძლია ჩათვალოს, რომ მისია შესრულებულია და წავიდეს. მაგრამ მოსახლეობის მოლოდინი სულ სხვა იყო. უფრო რადიკალური ღონისძიებების გატარება „ფაშისმის იდენტური ნაცების“ მიერ ჩანერგილი სიბინძურის ფესვებიანად ამოთხრა და ქვეყნის აღმშენებლობის გაგრძელება.

წავა პრემიერი ხელისუფლებიდან, მაგრამ რა როლს აირჩევს, რომ მოქმედების ბერკეტები ხელში შერჩეს – მთავარი არბიტრის თუ მართლმადიდებლობის „ლიდერის“?

პრემიერმა გადადგომასთან დაკავშირებით გააკეთა საგანგებო განცხადება, მაგრამ ბევრი კითხვა კვლავ დარჩა პასუხგაუცემელი.

ოფიციალური სტატუსის გარეშე შესძ

ლებს შეასრულოს ის უამრავი დაპირებები რომელიც ხალხს მისცა და ქვეყანას ამ ეტაპზე აუცილებლად სჭირდება. ეს გავხლავთ: დემოკრატიული ცვლილებების ბოლომდე მიყვანა, ელიტარული კორუფციის მოსპობა, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესება, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისთვის ზრუნვა, სოფლის მეურნეობის აღორძინება, ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

დემოკრატიული სისტემა იმიტომ შეიქმნა, რომ თანასწორობა და თავისუფლება მოეტანა ხალხისთვის. ნებისმიერი სისტემა და სტრუქტურა აღამიანს ემყარება. ჩვენში ამ სისტემის მხოლოდ ჩანასახია და მოსახლეობა იმედებს ივანიშვილზე ამყარებდა. მისი არაოფიციალური გავლენის პირობებში შესაძლებელია მართვის ბერკეტები ისე მოიგროს, რომ შეცდომა არ დაუშვას კადრების შერჩევაში, საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვის საკითხებში?

დღეს, პლანეტაზე მცხოვრებთა ერთი ნაწილი „კეთილდღეობით ხარობს“ მეორე ნაწილი სიდუხჭირის „ჭაობში“ იხრჩობა. ეს დამოკიდებულია სახელმწიფოს მართვის ეფექტურობაზე. ამის იდეალური მაგალითი რომაელებმა მოგვცეს. წარმოშობით ბერძენმა პოლიტიოსმა, რომელიც ზემოქვეყნით კარგად იცნობდა პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებს სახელმწიფოს იდეალურ მმართველობაზე, შექმნა თეორია – ეგრეთ წოდებული „შერეული ფორმა“ რომელიც შეიცავდა დემოკრატიულსაც (სახალხო კრება) მონარქიული პრინციპებს (კონსულები) და არისტოკრატიას (სენატი).

არც ერთი არ ჩაგრადა მეორეს და ერთად აღებული ქმნიდა პარმონიულ მთლიანობას.

მმართველობის ფორმა არა მარტო ტრადიციას და ქარიზმს ემყარება, არც სურვილებს (მინდა ასე ვმართო), არამედ, გონივრულ წესკანონების სისტემას. სადაც სახელმწიფოს ყველა შტო თანაბრად ფუნქციონირებს.

გუსტავ-ადოლფების და კარლების ახირებებით დაუსრულებელ ომებში ჩართულმა შედეგებმა თავის დადევნა იმით შესძლეს, რომ ერთ დღესაც სამეფო ტახტზე ნაპოლეონის ყოფილი მარშალი, ფრანგი ბერნადოტი დასვეს, რომელსაც უფლებები შეუზღუდეს და სახელმწიფოებრივ ინტერესებს დაუქვემდებარეს. შედეგად კი მიიღეს ის, რომ მისი შთამომავალი დღემდე ერთგულად ემსახურებიან შვედ ხალხს.

აქსიომა ისაა, რომ სახელმწიფოს გარეშე არ არსებობს მოქალაქეობრიობა. ხოლო მოქალაქეობრიობის გარეშე არ არსებობს დემოკრატია.

ივანიშვილის წასვლის შემდეგ, როგორი დემოკრატია და რანაირი მართვის სისტემა ჩამოყალიბდება საქართველოში, ჯერაც გაურკვეველია. ალბათ კვლავ უნდა ველოდოთ საკონსტიტუციო ცვლილებებს.

გამოითქვა მოსაზრება, რომ „საზოგადოება დარწმუნდება, რომ სახელმწიფო მართვა ავანცენაზე მუდმივი ყოფნას არ მოითხოვს და იგი გაცილებით მრავალფეროვანია“. დიახ, მაგრამ თუ ივანიშვილი დაეგრძნობდა საკუთარ პარტიას „ქართული ოცნებას“ და სხვა ყველანი გვერდზე უნდა გადაეხდნენ, მაშინ, მივიღებთ კლანურ მმართველობას, რასაც ადგილი ჰქონდა შევარდნადიხსა და სააკაშვილის ხელისუფლების დროს. რომლის ნიშნები ახლაც გამოიჩინა. არა და ყველა ხელისუფლება გაიძახოდა უნდა მოისპოს „კლანური“ დაჯგუფება. მაგრამ ვერცერთი წინა ხელილსუფალი ამას ვერ გაეკია.

შესძლებს კი ივანიშვილი ამისაგან თავის დაღწევას? იქნებ, დიახაც ამისკენა მიმართული მისი „წასვლა“. სათავეში ჩაუდგება მრჩეველთა საბჭოს ან ამგვარი ფორმით შექმნილ ორგანოს და ნიჭიერად და შეუცდომლად შესძლებს რთულ სახელმწიფო პროცესების წარმართვაზე კონტროლს.

მრჩეველთა ინსტიტუტი დღეს თითქმის ყველა წარმატებულ სახელმწიფო აპარატშია შექმნილი. მაკალითად გაერთიანებულ სამეფოში ტეტჩერი ხშირად მიმართავდა მრჩეველთა პოლიტიკურ კვლევის ცენტრს ან ადამ სმიტის ინსტიტუტს.

ერთი რამ ცხადია, ივანიშვილი არამც და

არამც არ გაემიჯნება პრობლემებს. ამის იმედი უნდა ვიქონიოთ. ამის შესახებ არა ერთხელ განაცხადა თავად.

მოსახლეობას ახსოვს, რომ ივანიშვილმა თავის დროზე ბრძანა „ჩემის აზრით, პრობლემების მოგვარებას დაახლოებით ორიდან სამ წელიწადამდე დასჭირდება. ამის შემდეგ მე ვაპირებ, წავიდე პოლიტიკიდან, რათა აქტიური მონაწილეობა მივიღო ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მის განვითარებაში“-ო.

„ნაცემოდრობა“ იქნებ კმაყოფილებით „გულს იფხანს“ პრემიერის შესაძლო გადადგომით. მაგრამ, ნუ ჩქარობენ. იცის ახალმა ხელისუფლებამ, რომ მოქმედ პრეზიდენტს ჯერ კიდევ დარჩა ერთი კოზირი, „ამინისტრის გამოცხადების“ შესაძლებლობა. დამნაშავე ნაცემი ახლა ყველა ციხეში რომ შეყარონ, სააკაშვილს შეუძლია ისინი ამინისტრით გარეთ გამოყაროს და მერე შეუძლებელი შეიქნება მათი კვლავ უკან შებრუნება. ამიტომ არ ჩქარობენ „ბნელი საკნები დამნაშავე ნაცემების დამუკვლეული თვლებით გაანათონ“.

ივანიშვილის მხარდამჭერნი მოთმინებით ელიან „ქართული ოცნების“ მორიგ „რაუნდს“. ხალხის ნებითა და მხარდაჭერით სააკაშვილის „გაპანდურება“ აქტიური სახელისუფლო არენიდან არ კმარა. მათ აქვთ იმედი, რომ მომავალში არ „შეიკერება“ საქმეები. გაგრძელდება სამართლიანობის აღდგენა. რაიონებსა და სოფლებამდე მოაღწევს „სანუგვარი სიო“. ადამიანები მთელს საქართველოში იგრძნობენ თავისუფლებასა და დემოკრატიის საამო მონაბურს.

თუმცა მანამდე ხელისუფლებას მოუწევს უფრო მეტად და გასაგებად აუხსნას მოსახლეობას, რატომ მიდის ასე ნაჩქარევად ივანიშვილი. უნდა გაქარწყლდეს ეჭვის მოლოდინი, რომ ივანიშვილი, რომ წავა, ისევე ქოსი არ დაგვემუქება? არის მოსაზრება, რომ პრემიერმა ვერ გაუძლო მისი ყოფისთვის შეუთავსებელ დატვირთვას? რომ პოლიტიკური, მუდმივი დუდილის პირობები არა კომპროტულია მისთვის და ასე შემდეგ...

საზოგადოებაში ბევრი ივანიშვილის სიწრფელესა და პატიოსნებაზე ამყარებდა იმედს. იქნებ პრემიერი საკუთარი გადაწყვეტილებით უწევნებს, თავხედ და გაბოროტებულ სააკაშვილს, რომ შესაძლებელია ვადაზე ადრე თანამდებობის დატოვება და ეს სრულიად იმედი არ არის ტრაგედია? უკვე აუტანელია პრეზიდენტის სივრცის მოსმენა და მისი ნიღაბად ქვეული სახის ტელეეკრანიდან ნახვა.

არა მგონია ივანიშვილის სურვილის გაცხადებამ, აიძულოს სააკაშვილი, რომ ვადაზე ადრე გადადგეს. გონივრული და სასარგებლო მას ხომ ჯერ ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ არაფერი გაუკეთებია. მათი უფლებების ხელყოფის, დამცირების, ეროვნული ინტერესების ამერიკულზე უხეშად მორგების მეტი. მისი ბოლო გამოსვლა და თავხედური კომენტარები ამაზე მიუთითებს.

ივანიშვილს არ ესწავლება, რომ სახელმწიფოს ეფექტური მართვაში უმთავრესია ხალხისადმი პატივისცემისა და პატიოტიზმის გამოვლენა. წავიდა ის დრო, როდესაც ონორე დე ბალბაკს შეეძლო ეთქვა „ბიუროკრატია გოლიათური შექანიზმია, რომელსაც ჯგუფი მართავს“-ო. დღეს ხალხი წარმოადგენს ქვეყნის მართვის საკვანძო ბერკეტს.

ყველა შემთხვევაში, პრემიერის წასვლა ტრაგედია არ არის. მისი გადაწყვეტილების სასარგებლოდ არაერთი არგუმენტის მოყვანა შეიძლება. ხალხი თანდათან შეეწვევა ამ აზრს და განეწყობა დადებითად. ჯერ წინ ბევრი პოლიტიკურად დაძაბული დღეები გველოდება.

ბორის ღაშითაია,
მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს ნამდვილი წევრი, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი, სენაპი

პოეზიის კუთხე

მითხარ სიმართლე

კომპოზის სამხარო

მითხარ სიმართლე, როცა მე ვცდები და თუ დემონებს ვუმღერ არიას.

ეს ჩემი მრწამსი, ამ შემეცნებით,

თუ სატანასთან წილნაყარია. გინდ აღვიკვეთო თქვენი თემიდან,

მითხარ სიმართლე, იქნებ მე ვცდები?

თუნდაც ვემსხვერპლო იმ ბრმა თემიდან,

მე დაყოვნებას არ შევეცდები. თუ შებროლება გემართებს აქ მტერთან,

უკომპრომისოდ და გავეშებით, თქვენ მიმაციდეთ მხოლოდ კრატერთან,

მე უყოყმანოდ გადავეშვები გონება გრძობას თუ ვეღარ შვარავს,

ღვთიურ ხატებად გონსაზრიანო;

ღმერთები ნახირს ან ცხვრების ფარას

რამი სჭირდება, ადამიანო?! მოინაველება ჩემი ფიქრები,

შთანთქავს უკუნი სულს მობინადრეს.

როცა თქვენს შორის მე არ ვიქნები,

მაშინ რად მინდა რომ მომინაბრებო?

სიცოცხლე

დავალ ამ ქვეყნად, დამის ცოდვით ცრემლებდამშრალი;

სამოთხის ბაღნარს ვამჯობინებ ჩემს გზას ძემკვიანს;

ნირვანით მოვრალი, ასკეტური ყოფით მასურალი

მით კმაყოფილი, რომ სამოთხე არ მიძებნია.

თუ არ მეკუთვნის სული ჩემი და არც სხეული,

არც მიძებნია საიდან და სადაურია;

რომ მომეძია ვით მეპოვა არ არსებული;

ღმერთი-ზმანება, ანგელოზი ანდა პურია?!

და მაინც სული ფენომენურ იღებს მაგ სახეს,

მარადისობის უკვდავება, რომ ვერ ამონებს;

ბრუნავს სამყარო, იწვის მზე და სული ცაცხაცებს

და აქ ამკვიდრებს პლანეტაზე კოსმო-კანონებს;

როგორც სიცოცხლეს, ძლიერებით – კოლოსალური;

ვითარც ფუნქცია, ეუფლება ამ პროფესიას

და ამ ფანტომის სიდიადით ასდის აღმური;

მიწას სიცოცხლის და მით სული წვის პროცესია.

... ცვალებადობის მარადიულ კოსმო წრეწირში

განმტკბელი და ღირიერი იანუსია

და ჩვენი ყოფნა შემეცნებით ამ წრის წერტილში

– სიცოცხლე ანუ აღქმადობის იარუსია.

ბურამ ჯიძია

ჩხოროწყუ, ს. ლესიჭინე

გახარიების გვარის დალოცვა
2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც “ლიბერთი ბანკში” გახსნილია ანგარიში. GE36LBO11199431911000 (პ.ა. ლიანა გახარიას სახელზე) მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასახულებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599728591 – ზაურ ბახარია.

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-228

საქართველოს ყოველთვის, ყოველ დროს, ჰყავდა უკვდავი გმირები, – კოტე აფხაზი, ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი, გიორგი მაზნიაშვილი. გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა (1870-1937) დახერხების წინ თქვა: „ერთი გაბრახებულნი თაობა თუ დამხვრეტს, მეორე დამშვიდებული თაობა მკვდრებით აღმადგენს. სიცოცხლე არც დაბადებით იწყება და არც სიკვდილით მთავრდება“ (საინტერესოა გ. მაზნიაშვილის მოგონებანი (1917-1925), რომელიც პირველად 1926 წელს უცხოეთში გამოვიდა).

არ შეიძლება ერის მიზანს გვერდი აუარო, სახელმწიფო ჰიმნში სამშობლოს სახელი მიაწერო, მამის სახელი ამოძირო და ეროვნული წარმომავლობა არ გაამხილო, ეროვნულ თუ საგარეო საფრთხეებში შარახვეტი აბორიალო. ასეთ შემთხვევაში „კოლხეთი კოში“ მრისხანედ გვაფრთხილებს: „ეროვნება არა აქვს მხოლოდ ცხოველს“ (ზ. გამსახურდია).

როგორც თურქეთში, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეში დივერსიული აქციები აღებულია ლაზ-მეგრელთა „არაქართველობაზე“. ყველა საჭირო საბუთით დასტურდება, რომ დროსა და სივრცეში აიას (ლაზ-მეგრელთა) სულიერება არის ეროვნული გასხეულები და მისი შდეგის – ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი, ოდაბადე, სივრცე, – წერს ს. საჯაია.

2004 წელს მატათას ხსენების დღესთან დაკავშირებით საქართველო-თურქეთის საზღვრიდან ლაზი მართლმადიდებლების, თაოსნობით საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებმა ივერის ღვთისმშობლის ხატი გალობით წააბრძანა და გონიოს ციხეში წმ. მატათას საფლავთან დაასვენა.

როდესაც საქმე ფუჭდებოდა და საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების (დეზინტეგრაციის) საკითხი დგებოდა, „სამეგრელო ყოველთვის ასრულებდა გამართლებულ მოვალეობას (გაიხსენეთ მღვდელი გაბრიელ გვეგნავას ასხნა-განმარტება რუსეთის სამეფოს კარზე). სამეგრელო ყოველთვის იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის არა რიგითი მონაწილე, არამედ თაოსანი და თუ ასეთი ხელგამოღება მოდიოდა აღმოსავლეთ საქართველოდან, ასეთი ეროვნული მიზნისათვის სამეგრელოს არასოდეს შეუქმნია თავსატეხი. როდესაც ქვეყნის ერთიანობის ძალისხმევა დუმდებოდა, მოწინავე და ქულზე კაცი სამეგრელო ხდებოდა კვლავ“.

სამეგრელოს გაუცხოების ლოგიკა აქ მარტივია: ვის ინტერესებშიც შედის ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლა, მის ინტერესებში შედის ქართული სახელმწიფოებრიობის საყრდენის პარტახი.

აი, რა იცის იმპერიებმა და რამა ხერხემალი საქართველოს საბოლოოდ გადატეხვის მიზნით სამეგრელოზე მათი ზეწოლის საიდუმლოება. არ შეიძლება ყველაფერი ეს ხალხმა არ გაიცნობიეროს, წერს ს. საჯაია.

ცნობილია, რომ 1783 წელს ე. წ. „მეგობრობის ხელშეკრულება“ ფეოდალური ეპოქის საერთაშორისო სამართლის ნორმებით იურდიულად სწორი იყო, მაგრამ ის შეიცავდა დიდ საშიშროებას სამომავლო საქართველოს სუვერენობის შენარჩუნების თვალსაზრისით. რუსეთმა ფეხი მოიკიდა ამიერკავკასიაში და

ცარიზმი შეეცდებოდა ამ პლაცდარმის განმტკიცებას და გაფართოებას, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას უეჭველად დაემუქრებოდა: ხელშეკრულების ექვ კონსტანტინოპოლსა და თავრიზს გაცდა, ინგლისი და საფრანგეთიც შეაშფოთა. მუსლიმანური სახელმწიფოების გარემოცვაში მყოფი საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. „ამისთანა განსაცდელში საქართველო არ ყოფილა“ – აღნიშნავდა საქართველოს ელჩი რუსეთში გარსევან ჭავჭავაძე და იმპერატორს სამხედრო დახმარებას სთხოვდა. რუსეთი ცრუ დაპირებებით კვებავდა საქართველოს და თავის ვალდებულებებს არ ასრულებდა.

ქვეყნის პატარა „საქართველოებად“ დაშლის პერიოდშიც არ მოშლილა მთლიანობის შეგნება. ქართლ-კახეთისა და იმერეთის გაერთიანების საკითხი პრაქტიკულად დადგა სოლომონ I-ის გარდაცვალების (1784) შემდეგ. იმერეთის სამეფოს თავკაცებს შორის მოშლიდა ქვეყნის გაერთიანების საკითხი.

ერთგვარად გაუგებარია ის ფაქტი, რომელიც მოხდა აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის ბოლოს, როცა 1789 წელს იმერეთის სამეფოს არისტოკრატის წარმომადგენლები – გენათელი და ქუთათელი მღვდელმთავრები, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, თავადები იოანე აბაშიძე, სეხნია წულუკიძე და სხვები თბილისში ჩამოვიდნენ და ითხოვეს იმერეთის სამეფოს, ფაქტობრივად მთელი დასავლეთ საქართველოს, ნებაყოფლობითი შეერთება, მათ ერეკლე II-ს შესთავაზეს: „ინებოთ და შეერთდეთ თავისდა სამეფოდ იმერეთს, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა“, რისთვისაც ერეკლე II-ის მთავრობა მზად არ აღმოჩნდა. ეს იყო მცდარი, წინდაუხედავი, არაგონივრული პოლიტიკური ნაბიჯი, რომლის შესახებ თითქმის არ წერენ და არ ლაპარაკობენ ისტორიკოსები.

საქართველოს გაერთიანებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი სოლომონ ლეონიძემ, ჭაბუა ორბელიანმა, სარდალმა დავით ვაფლანიშვილმა, ქიზიყის მოურავმა ზაქარია ანდრონიკაშვილმა და სხვებმა. წინააღმდეგ გამოვიდნენ მუსხრან ბატონი და მისი თანამოაზრენი, რომლებიც ამბობდნენ, რომ მეფე ერეკლეს თავისი სამწიფოს მოვლა გასტორებია და დასავლეთ საქართველოს როგორღა მოუვლისო. ერთიანობის მოწინააღმდეგეთა ბანაკი კულისებიდან ზურგს უმაგრებდა დარეჯან დედოფალი. ერეკლემ საკმარისად ჩათვალა იმერეთის ტახტზე თავისი შვილიშვილის გამეფება.

ერეკლე II-ის კარის ექიმი რაინექსი რუსეთის ერთ-ერთმა პირველმა პირმა პავლე პოტუკინმა მოისყიდა, მანვე მოისყიდა, უძლიერესი ტარკის შამხალი, რომ მას დაეპატიმრებინა რუსეთში მყოფი, ტახტის კანონიერი მემკვიდრე ვახტანგ VI-ის შვილიშვილი ალექსანდრე ბატონიშვილი, და ერეკლე II-ს მოწინააღმდეგე ვეოდალი ალექსანდრე ამილახვარი, აგრეთვე გაეცრცლებინა ხმები, რომ ჩრდილოეთ კავკასია ირახმება და მალე წამოვა ერეკლე II-ის წინააღმდეგ საომრად.

ერეკლეს მთავარი მრჩეველი იყო ექიმი რაინექსი და მეუღლე დარეჯან დედოფალი.

1791 წელს დარეჯან დედოფალმა მეფეს გამოსძალა საქართველოსათვის დამღუპველი სახელმწიფო კანონი – მეფის სიკვდილის შემდეგ ტახტს მიიღებდა არა მეფის უფროსი შვილი, არამედ თანამიმდევრობით ერეკლეს და დარეჯანის ქვსი შვილი (ერეკლეს 22 შვილი ჰყავდა, გიორგის – 23), შემდეგ კი მეფობას გააგრძელებდა ერეკლეს ვაჟი გიორგი, დარეჯანის გერი იყო. მეფის შვილებზე და შვილიშვილებზე სამეფოს განაწილებამ კიდევ უფრო დაასუსტა, ისედაც სუსტი სახელმწიფო. შემდეგში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ზოგიერთი ცვლილება უსწორო იყო, ზოგიერთი კი დაგვიანებული – წერს მკვლევარი ისტორიკოსი ს. მასხარაშვილი.

ერეკლე მეორის სამეფოში შექმნილ ვითარებას სწორ ანალიზს უკეთებენ ისტორიკოსები ნოშრევან ბერიძე წერიაში: „ვინ შეაგზავნა ავანტი ერეკლე მეორის კარზე და ვინ აუშვრია მას გონება?“ და სიმონ მასხარაშვილი „მართალია, რომ ცოლის უგუნურობამ ერეკლე მეფესაც დააშვებინა გამოუსწორებელი შეცდომები.

ის, რაც ქართულ ისტორიულ წყაროებში არ იწერება!“ – ამ პრობლემას გახეო „ასაველ-დასაველის“ გამომცემელმა და მთავარმა რედაქტორმა ლაშა ნადარეიშვილმა თავის გახეოში ლექსების ციკლიდან, „მეგლი რეველიდან“ რამდენიმე შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა: „ერეკლე მეფის მონოლოგი 1783 წლის გაზაფხულზე“, „ოთხოცდათხუთმეტი წელი“, „ერეკლე მეფის მონოლოგი 1795 წლის ზამთარში“.

რუსეთთან 1783 წლის 24 ივლისს ხელმოწერილი „მეგობრობის პირობა“, როგორც აღინიშნა (ერეკლე ხელი მოაწერა 1784 წლის 24 იანვარს) იურდიულად სწორი იყო, მაგრამ დიდი, აგრესიული ქვეყნის მეფე ეკატერინე II და მისი მემკვიდრეები შეასრულებდნენ ამ ხელშეკრულებას? 1795 წელს ალა-მაჰმად ხანის საქართველოში შემოსევის დროს რუსეთი უბრალო მაყურებელი იყო, ისიც ცნობილია, რომ ალა-მაჰმად ხანთან ქართველთა დამარცხება არმენთა ვერავლობაც განაპირობა (ს. საჯაია). XVIII საუკუნის ბოლოდან, ყველა უბედურება, რაც საქართველოს ჭირს რუსეთიდან მოდის.

საინტერესოა საქართველოს პარლამენტის რამდენიმე მოწვევის დეპუტატის, სპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე (2008 წ. მარტი) ელენე თევდორაძის ნათქვამი: რუსეთის მოსახლეობის ნახევარი ბარბაროსიაო; პეტრე I ამბობდა: „რუსი ერის სახით მე საქმე მაქვს არა ხალხთან, არამედ ცხოველთა ჯოგთან, რომელიც მსურს ხალხად ვაქციო“. (პეტრე პირველს ეკუთვნის ასეთი გამოთქმა: სამწუხაროდ აღამაინებში სიმართლე ცოტაა, ვერავინა კი ბევრი). ლერმონტოვი ამბობს: „მშვიდობით პირდაუბანგლო რუსეთო, ქვეყანავ მტრობის, ქვეყანავ მონობის“. თუმცა ასე ძველად იყო. დღეს (ადრეც) რუსეთს შენანიშნავი ინტელიგენცია ჰყავდა და ჰყავს. სწრაფად განვითარებადი ქვეყანა (ნავთობისა და გაზის დიდი მარაგი), იგი არაფრით არ იშლის აგრესიულობას სხვა ქვეყნების მიმართ, კერძოდ საქართველოს წინააღმდეგ (1801, 1921, 1991-1992 წლის კრიზისიდან) სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში 2008 წლის აგვისტოში და აფხაზეთში, რუსეთის მიერ მიტაცებული აფხაზეთი და სამჩაბლო, რუსეთის საოკუპაციო ე. წ. „სამშვიდობო“ ჯარები საქართველოში, რუსი ოკუპანტების შემოჭრა საქართველოში 2008 წლის აგვისტოში და სხვა). ეს არის საქართველოს მარადიული ძახილი, მარადიული კაეშანი, მარადიული ტრაგედია, მარადიული გლოვა. საქართველოს მუდმივად საშიშროება ემუქრება რუსეთიდან.

ისიც აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მოსახლეობის 23 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია, ესენი არ არიან მხოლოდ გვატეპლა, საღვადირი, გონდურასი, თურქეთი (წერა-კითხვის უცოდინარია 19-20 პროცენტში), არამედ რუსეთის ჩრდილოეთი და შორეული მხარეები. ასეთი დიდი, უზარმაზარი მეზობელი ქვეყანა მსოფლიოს სხვა დიდ ქვეყნებთან ერთად აგრესიული ქვეყანაა. მსოფლიოს ხსნა ამ აგრესიისაგან, ამ აგრესორი ქვეყნის დაშლა-დანაწევრებაა, რომლის პერსპექტივა უახლოეს მომავალში არ ჩანს.

რუსეთი უბედულად დროიდან დიქტატორი ქვეყანა იყო. 1917 წლამდე იქ თვითმკერობელი – მეფის ხელისუფლების დიქტატორი იყო. ამ დროიდან უმძიმესი კომუნისტური, ხალხისათვის თავსმოუხველი საშინელი დიქტატურა, საბჭოთა კავშირის შემდეგ საარეზიდენტო დიქტატურაა, მაგრამ რუსი ხალხი (შენეველია დიქტატურას და აგრესიას) „ადვილად“ უძლებს მას, ოღონდაც საარსებო, „ნორმალური“ ეკონომიკური პირობები ჰქონდეს და მისთვის სულერთია როგორია ხელისუფლება. ის საუკუნეების განმავლობაში „კანონმორჩილი“ კრია.

რუსი არ გავს (ასეთი იყო ის თავიდან) გერმანელს, ფრანგს, ინგლისელს, ესპანელს თუ იტალიელს, რომელიც ქვეყნებისათვის ერის დირსება მთავარი.

წინამდებარე ნაშრომი გამაზადებული იყო და დღეს თუ ხვალ გამომცემლობაში უნდა წარმეგინა, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს (ქართველი „ნაცების“ პროვოცირებით) რუსებმა ახალი, გამოუცხადებელი ომი მოამზადეს საქართველოს წინააღმდეგ და საშინელი, წარმოუდგენელი და-

ნაშაული ჩიდიხეს ქართველი ხალხის მიმართ. ცივილიზებულმა სამყარომ ამ უბედურების შემდეგ მაინც უთოოდ უნდა გაათვითცნობიერებინა რა უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს საქართველოსა და მთელი მსოფლიოსათვის ამგვარი აგრესია. სამწუხაროდ, ჩანს, მსოფლიო ამ საშიშროებას ჯერჯერობით ვერ ხედავს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ სხვა ერთმორწმუნე მეკავშირე საქართველოს დღეს, კავკასიაში, რუსეთის გარდა სხვა არავინ ჰყავს.

ცნობილი სამხედრო მოღვაწე, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, რომელმაც უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა საქართველოში მენშევიკების მმართველობის პერიოდში, წერს: „ორი წლის განმავლობაში თვალყურს ვადევნებდი მენშევიკების პოლიტიკურ მუშაობას, ბევრს წვალობდნენ და ჩალიხობდნენ, მაგრამ ცხადი იყო, რომ ვეროპის არც ერთი სახელმწიფო ხელსაც არ გაანძრევდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის ინტერესების დასაცავად.“

მაგალითად, ინგლისი და საფრანგეთი ჩვენ აშკარად გვაგრძობინებდნენ, რომ საქართველოს საკითხი შეადგენს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შინაურ საქმეს, რადგან საქართველო შედის ამ კავშირში, როგორც სრულყოფილი სახელმწიფო“.

ცნობილია, რომ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ 1918 წელს ორიენტაცია გერმანიაზე აიღო, რომელიც მტკიცედ ირწმუნებოდა, რომ იცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, დაეხმარებოდა მას ფინანსურად, სახელმწიფოს ორგანიზაციაში, შეიარაღებული ძალების შექმნაში, ქვეყანას დაიცავდა საშინაო და საგარეო მტრებისაგან, მაგრამ დამოუკიდებლობის ექვსი თვის შემდეგ გერმანიის მფარველობის იმედები დაიმსხვრა, რადგან 1918 წლის ნოემბერში გერმანია დაიწყო რევოლუცია, გაუქმდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება და, როგორც ომში დამარცხებულმა ქვეყანამ გერმანიამ დატოვა ამიერკავკასია, რომელიც ინგლისის გაყენის ზონაში აღმოჩნდა, დეკემბერში ბაქოში და ბათუმში შევიდნენ ინგლისის ჯარის ნაწილები და ამ დროიდან საქართველოს ბუდიბაღლი ფაქტობრივად ინგლის-საფრანგეთზე აღმოჩნდა დამოკიდებული.

1918 წლის 7 დეკემბერს ყოველგვარი მიზეზის, საქართველოსათვის შეუტეობინებლად და მოლაპარაკების გარეშე, სომხეთმა გადმოიღება საქართველოს საზღვრები, დაიწყო სომხეთ-საქართველოს კონფლიქტი. სომხეთის ჯარები ვერავლად შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში. საქართველო იძულებული იყო პასუხი გაეცა, სომხეთი მარცხდებოდა, მას მტრად მიიმე მდგომარეობა შეექმნა: ამ დროს საქმეში ჩაერია ინგლისის მხედრობა და მთელი რიგი მოთხოვნები წაუყენა საქართველოს – 31 დეკემბერს მთელ ხაზზე საომარი ოპერაციები შეწყდა, მალე დაიდო შეთანხმება (ზავი).

უფრო კონკრეტულად საქმე შემდეგში იყო: როდესაც ჩვენი უახლოესი, კარის მეზობელი დაეხსა თავს საქართველოს და გადაწყვიტა ჩვენი ტერიტორიების მიტაცება, საქართველომ ყველაფერი გააკეთა, რომ სომხური ავანტურა მშვიდობიანად მოეგვარებინა, რადგან არაფერი გამოვიდა, იძულებული გახდა გამანდგურებელი დარტემა მიეყენებინა სომხეთის ჯარებისათვის. ქართულ არმიას გზა ხსნილი ჰქონდა ერევნისაკენ, მაგრამ საქართველოს მიზანი არ იყო სხვისი ტერიტორიის მიტაცება. მწერალი და მკვლევარი ტარიელ მუმლაძე წერს: „ქართველმა ჯარმა სასწრაფოდ აღკვეთეს მეზობლის თავხედობა და მტრის ჯარი ერთიანად მოსრა. გამარჯვებული ქართული ჯარი სომხეთს მთლიანად აიღებდა, რომ არა ინგლისის დიპლომატიური წრეების აქტიური ჩარევა“.

– მაინია ტ. მუმლაძეს.
კლიმენტი შილია, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გაგრძელება შემდეგ ნომერში

შვიარაღებულ კალმის მთავარი შტაბის უფროსის ბენერალ-მაიორ ღაბით მაისურაძის ბახსენება

20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენთან აღარ იმყოფება ქართული ჯარის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას უერთგულესი თანამებრძოლი, საქართველოს რესპუბლიკის დაზვერვისა და კონტრაზვერვის პირველი უფროსი გენერალ-მაიორი ღაბით ესტატეს ძე მაისურაძე.

მისი წასვლით საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს სამხედრო საქმეში დიდად განსწავლული და გამოცდილი, ნამდვილი სამხედრო ინტელიგენტი, ეროვნული ტრადიციების მატარებელი დირსეული პიროვნება.

მან დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებელი და სამხედრო აკადემიის დაზვერვის ფაკულტეტი.

მსახურობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებში, სახელმწიფო, და ბოლოს სამხრეთის მიმართულების (ამიერკავკასიის, თურქესტანის, ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქებში და კასპიის ზღვის ფლოტილიაში) დაზვერვის უფროსის მოადგილედ, ქ. ბაქოში.

ის არაერთხელ გამოსულა მოხსენებებით შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსების (საბჭოთა კავშირის მარშლის ვ. კულიკოვისა და ნ. ოგარკოვის) წინაშე და ყოველთვის მისი "მოწინააღმდეგის" შეფასებები მათი მხრიდან დიდ მოწონებას იმსახურებდა.

ერთ-ერთი ასეთი მოხსენების შემდეგ მარშალმა ნ. ოგარკოვმა მას მიმართულების დაზვერვის უფროსობა (გენერალ-ლეიტენანტის თანამდებობა) შესთავაზა, რაზეც მან თავაზიანად უარით უპასუხა - სახლში მიმეჩქარებო.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში, ბატონ ზვიად გამსახურდიას გუნდში.

არჩევებში "მრგვალი მაგიდის" გამარჯვების შემდეგ ბატონმა ზვიადმა მას დააკისრა დაზვერვის და კონტრაზვერვის ორგანოების ჩამოყალიბება და ხელმძღვანელობა. მაშინ ბატონი ღაბითი და თენგიზ კიტოვანი ერთ კაბინეტში ისხდნენ.

და როდესაც გადაწყდა ქართული ჯარის ჩამოყალიბების აუცილებლობა,

მისი პირველი ეტაპი უნდა ყოფილიყო ეროვნული გვარდია, რომელიც ფაქტიურად შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი უნდა ყოფილიყო, ხოლო, ფაქტიურად, ის სახელმწიფოს მეთაურს უშუალოდ დაემორჩილებოდა.

მახსოვს, როგორი აღფრთოვანებული იყო ბატონი ღაბითი, როდესაც მათთან, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როცა შემოიარა ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა, როგორ მიულოცეს და გადააკონცეს ერთ-მანეთი, როგორ მოსვა სულმანთა ზვიადმა რამდენიმე ყლუპი კონიაკი და როგორი ბედნიერი გავიდა მათი ოთახიდან.

ბატონ ღაბითის ძალიან უხაროდა, თუ როგორი სისწრაფით იზრდებოდა ფულის და ნივთიერი შემოწირულობანი ქართული ჯარის ჩამოსაყალიბებლად.

როგორც სამხედრო საქმის დრმა მცოდნეს და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პიროვნებას კარგად აქონდა შესწავლილი და გაანალიზებული საქართველოს მდგომარეობა რეგიონში, მეზობელი და სხვა სახელმწიფოების ინტერესები ჩვენი ქვეყნისადმი, ძალიან კარგად იცოდა ჩვენი ძალებისა და საშუალებების შესაძლებლობები, მათ შორის გამოცდილი კადრების კატასტროფული უქმარისობა, და ამიტომ, საჭიროდ თვლიდა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად შექმნილიყო მძლავრი დაზვერვა, რომლის ტექნიკურად აღჭურვის შესაძლებლობა იმ დროისათვის ჯერ კიდევ არსებობდა.

ამ იდეას ხელმძღვანელობაში მხარდამჭერები არ გამოუჩნდნენ.

დაზვერვა დღესაც არ არის სათანადოდ დაფასებული.

და როდესაც წყდებოდა "რკინ"-ს მდგომარეობის დროს ეროვნული გვარდიის დაქვემდებარების საკითხი, ყველა დამსწრემ მოიწონა პრეზიდენტის წინადადება გვარდიის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაყვანის შესახებ, საბჭოთა ჯართან გართულების წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით, რამაც იმ მიმე პერიოდში შესანიშნავად გაამართლა.

ბატონი ღაბითი აქებდა პრეზიდენტს ასეთი გონივრული გადაწყვეტილების მიღებისათვის.

მაგრამ, თურმე, სადღაც, სხვაგან, სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ.

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იმდენად ენდობოდა ბატონ ღაბითს, რომ განდგომილ თენგიზ კიტოვანთან მან ის ცხრაჯერ გააგზავნა რკინის ხეობაში და შეანაბადა ზე, შემოსარიგებლად, და იყო შემთხვევები, როდესაც თ. კიტოვანი, უკვე მასთან მანქანაში მჯდომი და შესარიგებლად გამზადებული ვიდაცის ტელეფონის ზარზე უკან ბრუნდებოდა ამბოხებულებთან.

მალევე მიხვდა ბატონი ღაბითი, რომ თენგიზ კიტოვანი სხვა ძალების მიერ იყო მართული.

სამხედრო პუტჩის დაწყების დღიდან, ღაბით მაისურაძე, იმყოფებოდა პარლამენტის შენობაში და ერთ-ერთმა უკანასკნელმა დასტოვა იგი. მან კარგად იცოდა ამბოხებულთა რაოდენობა, მათი შეიარაღება, სამხედრო მომზადების დონე, შემადგენლობა. მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო ჯარებს შეეძლო ამბოხების ჩაქრობა, ზვიადი მსხვერპლს კრიდებოდა და ამიტომაც არ წავიდა გადამწყვეტი ნაბიჯებზე. და როდესაც მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობის მიერ კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს ძალიან გაუჭირდა, მის დასაცავად ბატონ ღაბითს მხარში ამოუდგნენ მისი ვაჟები - გია და ღაბითი, რომლებიც რუსეთში ნამსახურები ტანისტელები იყვნენ.

როდესაც ზვიადმა საქართველოს დეტოვება გადაწყვიტა, ღაბითი მასთან მივიდა და უთხრა:

- ბატონო პრეზიდენტო, თუ აპირებთ ქვეყნის დატოვებას, ნება დამართეთ, მე აქ დავრჩე და ჩემი ცოდნა და გამოცდილება საქართველოს მოვანხარო!

პრეზიდენტმა იგი გადააკოცა და უპასუხა:

- ბატონო ღაბითო, თუ მე ოდესმე მეღირსება ქვეყანაში დაბრუნება, თქვენს დაწვლს და ამაგს სათანადოდ დაგაფასებ! მართლაც, ვის ღირსება საქართველოს პირველი პრეზიდენტისაგან ასეთი დაფასება?

შემდგომში ბატონი ღაბითის ორივე ვაჟი დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაანთავისუფლეს.

ცოტა ხანში, ღაბითი, როგორც თავისი საქმის უბედლო მცოდნე, დაზვერვის უფროსად დანიშნეს, შემდეგ შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსის პირველ მოადგილედ გადაიყვანეს, ორი თვის შემდეგ კი მთავარი შტაბის უფროსად დაინიშნა.

ღაბით მაისურაძე აფხაზეთში ჯარების შექვანის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. თვლიდა, რომ ჯარის გამოყენება საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ (თავად წარმოშობით გუდაუთიდან იყო) დანაშაულის ტოლფასი გახლდათ. დასაბუთებულად ამტკიცებდა, რომ ამ კონფლიქტში რუსეთი აუცილებლად ჩაებმებოდა.

კონფლიქტის დაწყებისთანავე თვითონ და მისი ორი ვაჟიც საბრძოლო მოქმედებების რაიონში იმყოფებოდნენ. უმცროსი - ღაბითი გაგრასთან მიმედ დაიჭრა და მეგობრებმა ის სამკურნალოდ რუსეთში გადაიყვანეს. შემდეგ დაიჭრა უფროსი ვაჟი - გიაც.

სიმათლევ რომ გითხრათ, ბატონი ღაბითი თავისი ვაჟების ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დიდად დადარდინებული არ მონახავს, მას უფრო აღარდებოდა ჩვენს ჯარებში არსებული მდგომარეობა (დისციპლინა, ბრძოლისუნარიანობა, საბრძოლო სულისკვეთება და სხვა), მიმედ განიცდიდა ყოველივეს, ცრემლს ვერ იკავებდა, როცა ხედავდა თუ როგორ ვერ შეებოდნენ ერთმანეთს ძმები...

გერმონბა, რომ მარცხი გარდაუვალი იყო.

გულმა ვედარ გაუძლო ამდენ განცდებს და 1993 წლის 10 ივნისს გარდაიცვალა.

დასახანია, რომ ისეთ პიროვნებებს, როგორც იყო ბატონი ღაბითი, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც თავიანთი და თავისი ოჯახის წევრების სიცოცხლეც კი არ დაიშურეს ქვეყნის დასაცავად, დღეს მივიწყებულნი არიან.

ალექსანდრე ტოლსტოი

სიბრძნე დემაბობისა: და თქვა მიუამ არაკი...

ინც მე დამიჯერა ყველა შავი დედალივით აშენდა.

(კ.ფ. "შერეკილები")

წინამძღვარმა გაკეთებული წარწერა ცოტა არ იყოს გაუგებარია, თუმცა დღეს რაზეც უნდა ვისაუბრო იმდენად გაუგებარია, რომ იმასთან შედარებით ეს ორჯერ-ორად მოგვეჩვენება. ოპოზიციის სწორუპოვარმა ლიდერმა და საქართველოს დროებით არჩეულმა პრეზიდენტმა, როგორც სხევეია, წარბეჭედულად განაცხადა, რომ ის რჩევებს მისცემს "ამ ხელისუფლებას, თუ როგორ აყვავოს ეკონომიკა (რაც იცის იცის, ვერ დაუკარგავს), მათ კი კეთილი ინებონ და მოუსმინონ მაინც (თუ არ დაუჯერებენ)"...

ამ რჩევებში უპირველესი ადგილი ლაზიკას უჭირავს. ჩემს ბავშვობაში, როცა რაიმეს ვსწავლობდი, თქმა იცოდნენ ხოლმე - ისე უნდა ისწავლო, როცა გაგადვილებენ მაშინაც კი ზეპირად უნდა თქვა, ასეა პრეზიდენტიც, რასაც არ უნდა ლაპარაკობდე, ბოლოს მაინც ლაზიკის თემით ასრულებს (ოდესმე თუ პრეზიდენტი რესტორანს გახსნის, მენიუში აუცილებლად იქნება: "ლაზიკა ბადექონში", "ლაზიკა ნიორწყალში", "ხინკალი ლაზიკურად" და საფირმო კერძი "გარდის ფურცლის ლაზიკა"). თუმცა, ვერ დავფარავ, როგორც ჩანს, სააკაშვილს იმდენად სჯერა ლაზიკის უაღრესი სტრატეგიული მნიშვნელობის, რომ ნალოლიავებ სახელსაც ელევა: აგურ, ტელევიზიით, ღუნის გასაგონად გამოაცხადა, ოდნურ ააშენოს ივანიშვილმა ლაზიკა და, აგრემც უქნია, "ნიუ ჯორჯია" დაურქმევიაო. დამბურძლა პირდაპირ, უანგარო პატრიოტიზმს ამ სწორუპოვარი აქტის მომსწრე რომ გავხდით, რა ქნას კაცმა, თუ "დაშნაკეუტიუნის" მთავარი შეკვეთა ვერ შეასრულა და ვერ აავო ქალაქი შავი ზღვის პირას, სადაც სირიიდან დგნინლი ორმოცი ათასი მომეხი ნახსლდებოდა?! ამისათვის ხომ მას პასუხს მოსთხოვენ ამერიკაში მცხოვრები მისი თანამემამულე დაშნაკი მილიარდერები?

ამიტომაც ურჩევნია ქართულ ციხეში

იყოს "შევიდალ", ვიდრე ფეხზე აგურმობ-მული განისვენებდეს "შევიდალ", ატლანტის ოკეანის ფსკერზე, რადგან რეაქციონერი დაშნაკები მას ნამდვილად არ აპატიებენ მთავარი დავალების შეუსრულებლობას!

თუმცა ძალიან რომ არ ავცდეთ, ამიტომ მოვაწვდით ცოტაოდენ ისტორიულ რაკურსს: 90-იან წლებში, როცა საქართველოში დამოუკიდებლობის გარიჟრაჟი იდგა, გულუბრყვილოდ გვეჯეროდა, რომ საქართველოს მხოლოდ "ბორჯომი" აცხოვრებდა, ხოლო უკანასკნელი წლებია, ნაციონალური მოძრაობის წევრებს უნდათ დაგვაჯერონ, რომ საქართველოს მხოლოდ ლაზიკა აცხოვრებს, თუმცა იმას აღარ ფიქრობენ, რომ ცოტა გავიზარდეთ და ისეთივე გულუბრყვილობივც აღარ ვართ.

მახსოვს, როცა პრეზიდენტმა ლაზიკის აშენება დაანონსა, ერთ-ერთ ბოროტ, შურიან, რუსეთის აგენტს ან უბრალოდ სადად მოაზროვნე ადამიანს გაუჩნდა კითხვა, თუ ვის უნდა აეშენებინა ეს ქალაქი, რაზეც პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა მხნედ უპასუხეს, თურქეთში მცხოვრებმა ლაზმა ბიზნესმენებმა, თუმცა მიუხედავად დიდი ძალისხმევებისა, ასეთი ბიზნესმენი, რომელიც ამ ქალაქში ფულის ჩადებას დააპირებდა, თურქეთში კი არა, ბუნებაში არ აღმოჩნდა ("ნასას" სათაო ოფისი გაჩნდა ხუმრობა - ჩვენ უფრო მალე ვიპოვებ წყალს მარსზე, ვიდრე ლაზიკაში ვინმე ფულს ჩადებს), მიუხედავად ამისა ნაცპროპაგანდა ყოველდღე გვანგებოდა საძირკვლებს, რომელიც ლაზიკაში ისხებოდა. ლაზიკის პორტი, ეს უნდა ყოფილიყო ის არტერი, რითაც საქართველოს მომარაგება მოხდებოდა, მერე ფეხს-ფეხზე გადავიდებოდა და სოფელიც აშენდებოდა. რატომაც ჩვენზე გულდამწვარ ოპოზიციამ (ნაციონალურ მოძრაობაზე, რომ ოპოზიციას ვამბობ, სიხარულისგან ჯერ კიდევ მაჭრიალებს, აი მოსაგონარს როცა ვიტყვი, მერე ალბათ სულ ვიბრაციით ვივლი) არავის მოაფიქრდა, რომ ის ასეუფლობით მიდიონი, რომელიც ლაზიკის აშენებას დასჭირდებოდა, საქართველოს სხვა ქალაქებს რომ მოხმარებოდა, ბევრად უფრო პრო-

დუქტიული იქნებოდა, თუმცა მაშინ ხომ არცერთ ქალაქს კი არა, მოქალაქესაც კი არ უჭირდა და ქვეყნის ერთადერთი პრობლემა ლაზიკის დროული აშენება იყო (გავიხსენოთ თუნდაც ქუთაისში პარლამენტის შენობის აგებაზე დახარჯული 600 მილიონი ლარი, რომელსაც უნდა აეღორძინებინა ქუთაისის ეკონომიკა. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ აყვავდებოდა ეს მხარე, აღნიშნული თანხა მართლაც დასაველით საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებას რომ მოხმარებოდა?!).

საპარლამენტო არჩევნებამდე ორიოდ კვირით ადრე პრეზიდენტმა ლაზიკის მუშავებულ შემთხვევა, როდესაც არარსებულ ქალაქს აქვს მერიის შენობა, მეტიც, სექტემბრის შუა რიცხვებში პრეზიდენტი ჯერ არ აშენებული ქალაქს ესტუმრა და როგორც პრეზიდენტის facebook-ის ოფიციალური გვერდი იტყობინებოდა ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. ქალაქი სადაც ერთი საცხოვრებელიც არაა, მაგრამ უკვე ყავს ადგილობრივი მცხოვრებელი, ანომალიის ისეთი ფორმაა, რომელსაც მეცნიერება ჯერ-ჯერობით არ ცნობს, ხოლო ფანტასტიკის ჯანრს იმდენად სცილდება, რამდენადაც სააკაშვილი და მისი კურსი ცილდებოდნენ ქართველი ხალხის მისწრაფებებსა და გულისთქმას.

ამავე რჩევის დროს მიხეილმა თქვა, არასოდეს იმდენი კრიტიკა არ მსენია ხელისუფლების მიმართ რაც ახლა მესმისო! გულწრფელად მაინტერესებს, რა ხარისხის ბაზმა გქონდა, მიშა-ჯან, ყურში დაცობილი, რომ არაფერი არ გესმინა, რასაც თქვენ და თქვენი გუნდი სწავლიდით. მადლობა დმერთს, ოქტომბრამდე რამდენიმე თვეა დარჩა და მერე სააკაშვილის რჩევებს ისეთივე ფასი ექნება როგორც დღეს ლეიბორისტების ლიდერის, რაღა დავმლო და, უფრო ჭკვიანურ რჩევებს აქვთ (ბატონ შალვას ბოდიშს ვუხდით ამ შედარებისათვის, თუმცა, გულახდილად მინდა ვუთხრა - ქვეყანაში ყველას რომ აეკრძალოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება, გარდა ლეიბორისტული პარტიის წევრებისა,


ნათელაშვილი მაინც ვერ მიიღებს საჭირო ხმების რაოდენობას, რადგან სწორედ ლეიბორისტებმა იციან ყველაზე კარგად, რა "ფრუქტიცაა" მათი ლიდერი).

ზრდილობის ამბავია, როცა ვინმე გაკრიტიკებს, თუ არ გაითვალისწინებ, უნდა მოუხმინო მაინც, მაგრამ ერთ ძველ გამოთქმას მოვიშველიებ - ისეთმა უფრმა მაინც ჩამოიხლოს ჩემზე მისც იფველემოლდსო!!!

ჩემთვის გენიალური პრეზიდენტი ყველა ვაცლავ პაველის სახით, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩემი ევროპული ყაიდის სახელმწიფოდ ექცია, პოდა, ამ პიროვნებას ასეთი რამე აქვს ნათქვამი (სხვათა შორის სააკაშვილის კუმირია, ძალიან იტაცებდა ხოლმე ჩვენს მიხოს მისი გამონათქვამების ხსენება): "განვითარებულ ქვეყნებში წინა ხელისუფლება მიდის სახლში, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ციხეშიო. ჯერ-ჯერობით პირწმინდად სრულდება მისი ნათქვამი".

P.S. იმედია ზაფხულის სიცხე არ შეგაწუხებთ და კიდევ ბევრ რჩევას მოგავწვდით ბატონო პრეზიდენტო.

პროვოკატორი



სამებროლოს ღირსეული შვილები

ცხოვრება ბჰანჯი ჩიქოვანისა
 ჩვენი გაზეთის 224-ე ნომერში მკითხველებს დაეპირდით, რომ გამოვაქვეყნებდით მასალებს მწერალ ემზარ კვიციანიშვილის წიგნიდან, რომელიც ეძღვნება სამებროლოს ღირსეულ შვილებს, ტრაგიკული ბედის მქონე მამულიშვილებს გვანჯი ჩიქოვანსა და მუშნი დადიანს. ვასრულებთ დაპირებას და ვიწყებთ ამ ჭეშმარიტად დიდი ადამიანების ბიოგრაფიების ბეჭდვას.

(ჩაწერილია ექიმ დავით კვიციანიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს)

ალექსანდროვის ციხეში ყოფნის პერიოდი

ორკვირიანი დასვენების დროს გავიტყე, რომ იქაურ კატორღაში ყოფილა ათწლიანი პატიმარი, გიმნაზიის კურსდამთავრებული ვანო ჯორჯაძე. სხენებულ ჯორჯაძეს ძალიან აქებდნენ პატიმრები. თქვეს, რომ მას ვინმე ქალბატონ მარია ინოკენტის ასულ გარბუნცოვას წყალობით, ციხის ადმინისტრაციის წინაშე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. შემდეგ პატიმრებმა ისიც მოიხრეს, რომ ეს ქალბატონი დიდი ხნის წინ ჩამოსულა სოფელ ალექსანდროვკაში. იგი მდიდარი და ქველმოქმედი ქალი ყოფილა - იქვე, კატორღის ახლოს მცირეწლოვანი პატიმრებისა და პატიმართა შვილებისათვის სკოლა გაუხსნია. პატიმრებისთვისე ჩამოყალიბებია აგრეთვე მუსიკალური, ხელოვნების შემსწავლელი და სხვა თვითშემოქმედების წრეები. ეს ქალი ხშირად შემოდოდა კატორღის საკნებში, პატიმრებისგან შემდგარი სასულე ორკესტრით ართობდა ტუსადებს. ამ დროს გაუცვინია მას პატიმარი ვანო ნიკოლოზის ძე ჯორჯაძე. გორბუნცოვას ქალს ძლიერ მოსწონებია იგი და ციხის უფროსისთვის უთხოვია, მისთვის დაეთმო ჯორჯაძე, რათა თავისთან მოეწყო სკოლაში თანაშემწედ. ციხის უფროსი დათანხმებია ამ გავლენიან ქალს და ჯორჯაძეს ამ ქალთან დაუწყო მუშაობა პატიმართა სკოლაში. ვანო ჯორჯაძეს თავისი ზრდილობით, თავაზიანობითა და ცოდნით სულ მალე დაუმსახურებია ქალბატონის უსახდლო ნდობა და სიყვარული, და როგორც გადმოიმცეს, მათ შორის მეგობრობა, ინტიმური კავშირი გაბმულა. ამ ქალის მეშვეობით, ჯორჯაძე ციხის უფროსს და მის ოჯახსაც დაახლოვებია და ციხის უფროსსაც იმდენად შეყვარებია იგი, რომ ნება დაურთავს, თავისი ქალიშვილებისათვის ცეკვის (ლეკურის) გაკვეთილები მიეცა. ამ საქმეს ჯორჯაძე დიდი წარმატებით ასრულებდა, რადგანაც საუკეთესო მოცეკვავე გახლდა.

ჩემი ორკვირიანი დასვენების მანძილზე ციხის უფროსი რამდენჯერმე შემოვიდა საკანში, მანამდე კი, როგორც მითხრეს, იშვიათი სტუმარი ყოფილა. ერთხელ, როცა კვლავ შემოვიდა და პატიმრები მწკრივში ვიყავით დამდგარი, იგი განსაკუთრებულად ყურადღებით მომამჩნევდა, ეტყობა, თვალში მოხვდა ის, რომ მე ყველაზე მაღალი და ახალგაზრდა ვიყავი, თანაც კონტად ჩაცმული; მეცვა ღამაზი ახიური წაღები, შავი დიაგონალის შარვალი და თეთრი მაულის ხალათი. ციხის უფროსი მომიახლოვდა, გვარი და ეროვნება მკითხა. მეც თავაზიანად ვუპასუხე. მას სახეზე დიდილამა გადაუარა და ხმადაბლა მკითხა, ვანო ჯორჯაძეს იცნობთ თუ არაო. მე მორიდებით ვუპასუხე, პირადად არ ვიცნობ, მაგრამ თუ მისი გაცნობის საშუალებას მომცემთ, დიდად მადლობელი დავრჩები მეთქი. ამაზე მითხრა, თუ პირადად არ იცნობს, მაშინ შენთან რატომ უნდა მოვიდესო? მე ამაყად ვუპასუხე - თუ ჯორჯაძე ჩემს გვარს გაიგებს და ჩემთან მოსვლას არ მოისურვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ქართველი არ ყოფილა-მეთქი. მან არაფერი მიპასუხა, მხოლოდ სახეზე კმაყოფილება გამოეხატა და საკნიდან გავიდა.

აქვე უნდა გავიხსენო, რომ კატორღაში მიყვანის პირველსავე დამეს, როცა ჩემს სანახავად მოსულ ქართველებთან ვახშიმი ვკამეთ, სიზმარი ვნახე: ვითომ ვიჯექი იმავე გემზე, ქუთაისის ციხეში რომ მე-სიზმარა. სიზმარში ვწუხდი, რად მინდა, რომ მივიღივარ სახლში, სულერთია, ამ ხილზე მაინც ვერ გავალ-მეთქი! გად-

მოვედი გემიდან, ხელში ორი ჩემოდანი მიტოვავს. მივადექი იმ მდინარეს... ვხედავ - მდინარე გამშრალა, ზედა მშენიერი ხილია. მივიღივარ ამაყად, მაგრამ შევაშინე ხილზე გველი. ქვეწარმავალს გვერდი აუჯარე და მივედი სახლში. ვნახე ჩემი ჭირისუფლები - ყველანი თეთრებში ჩაცმულები, მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ დიდად გახარებული. ამ სიზმარმა ძალზე გამამხნევა (მალე ამიხდა კიდევაც). უფროსის გასვლიდან ერთ საათსაც არ გაუყვია, რომ ციხის დერეფანში მორიგეს ხმა გაისმა. მორიგე ყვიროდა - ჩიქოვანი ჩავიდეს კომენდანტურაშიო. ადევნებულმა ბორკილების ჩხარა-ჩხურით ჩავიბრინე კომენდანტურაში და მაშინვე შევნიშნე, იქ იდგა ახოვანი, შავვერულვაშიანი ვაჟკაცი, რომელიც მისვლისთანავე გადამეხვია, მაკოცა და მითხრა, თბილისელი ვანო ჯორჯაძე ვარო. მწუხარება გამოთქვა, ასეთი ახალგაზრდა ემაწვილი რატომ ჩავარდი ამნაირ განსაცდელშიო. მანუგეშა, გამამხნევა და მითხრა, ნუ გეშინია, არ დაგტოვებ უყურადღებოდ, შენზე ვიზრუნებო. მე გულანუგებულმა ვუთხარი, თუ ხანდახან ჩემს ნახვას იხებებთ, ყველაფერს ავიტან-მეთქი. ამ სიტყვების შემდეგ იგი წავიდა, მე კი დასვედიანებულად დავბრუნდი საკანში. პატიმრები მაშინვე შემომხევივნენ და მკითხეს თუ ვისთან ვიყავი გამოძახებული. ჯორჯაძეს ვგარი რომ ვახსენებ, ერთხმად იღრიალეს და ხელით ამიტაცეს. მომილოცეს, უკვე ბედნიერი ხარ, რადგან ჯორჯაძე

მშობლიური საქართველოდან კახური დვინო გამოიგზავნა და ჩემს თანამებამულეს უნდა გაეუმასპინძლეთო. გამოიტანა საკუჭნაოდან პატარა, ღამაზი კასრი და ბროლის გრაფინი ანკარა, წითელი კახური დვინოთ გაავსო. სუფრა გაიშალა და ქალბატონ მარი ინოკენტისთვის თავაზიანი მიწვევით მაგიდას შემოეყვანეთ. ვანო ჯორჯაძემ ადღერძებდა ჩვენი მფარველის კეთილშობილება და კაცთმოყვარეობა, დღევრძელობა უსურვა. მეც დიდი მადლიერებით ვადღერძებდი. შემდეგ ქალბატონმა აიღო სასმისი და მითხრა - შენ ნუ გგონია, რომ ჯორჯაძემ გამოგვიყვანა კატორღიდან, ეს ჩემი მეოხებით მოხდაო. მინდოდა დამეთავალიებინებე და ესედა, ორი საათის შემდეგ ისევ საკანში უნდა დაბრუნდეთ. ამის გამგონეს თითქოს ცივი წყალი გადამეხსა გულზე. წამოვდექი და ქალბატონს მივმართე - მე ვიცი, რომ პატიმარი ვარ და აქ დასასჯელად ჩამომიყვანეს, მაგრამ თავისუფალი ბუნებისა და აზროვნების ახალგაზრდა ვარ ჩემს სამშობლოში უკანონობას შეგებრძოლები, ირადი აღვმართე ხელისუფლების წინააღმდეგ, რის გამოც დავიჩაგრე აქ კი, როცა თქვენი სახით ასეთი კეთილშობილი მფარველი გამოემცხადა, არა მგონია, რომ ისევე დამბრუნდეთ ჯოჯორეში და თუ ეს აუცილებელი იქნება, მაშინ ამას სიკვდილს ვამჯობინებდი, ჩემი ნებით იქ აღარ დავბრუნდები. ამაზე ქალბატონს გაეღიმა და ჯორჯაძეს უთხრა - ჯერ კიდევ ბავშვია თქვენი თანამებამულე და

ადამიანის აზოვანება და კეთილშობილურმა სახემ, მოსულმა ტანადობამ. ექიმი, რომელიც მომსახურებას უწევდა მიველ ალექსანდროვკას, მარი ინოკენტისგან დიდი პატივისცემით მიიღო. მისი ჭკვია-ნური თვალები და გასპეტაკებული შუბლი მეტყველებდა, რომ მდიდარი აზროვნებისა და სიკეთით სავსე ადამიანი უნდა ყოფილიყო. მას ქალბატონმა წარუდგინა ჩემი თავი. მან მაგრად, გამამხნეველად ჩამომართვა ხელი და გვერდით მომისვა, შემდეგ ხავერდოვანი, საამო ხმით მიმართა მარი ინოკენტისგან:

— Сколько таких прекрасных юношей душат в кандалах наши царские бездушные, гнилые чиновники!

— Да, милый доктор! — უპასუხა მარი ინოკენტისგან.

სადილის შემდეგ მარი ინოკენტისგან ექიმს მოუბოდიშა და, სათხოვარი მაქვსო, უთხრა. ბრძანეთო, გაიღიმა ექიმმა.

— თქვენო კეთილშობილებო! — უთხრა სათქმელი მასპინძელმა, — ძალიან გთხოვთ დაეცხმებოდით, რათა ამ ახალგაზრდას მისცეთ ცნობა, რომ მას არ შეუძლია ფიზიკური შრომა. ამის მერე ჩვენ შევძლებთ, დაწვეულ საქმეს მივცეთ სასიკეთო მსვლელობა.

ექიმი უყოყმანოდ მიუჯდა მაგიდას და მაშინვე დაწერა საჭირო ცნობა. მეორე დღესვე მარი ინოკენტისგან ცნობა კატორღის მთავარი სამმართველოს სანიტარულ განყოფილებაში წარადგინა და ერთი კვირის შემდეგ მომაცხოვრე ე.წ. заездный дом-ის, ანუ მაშინდელი იქაური სასტუმროს გამგედ. ამ სასტუმროს, რომელიც შენობაში იყო მოთავსებული, ჰქონდა თორმეტი ნომერი (ოთახი); აგრეთვე, ღამაზად მორთული საკლუბო დარბაზი სცენითა და პიანინოთი. მე ჩამაბარეს ეს სასტუმრო. მყავდა დი-ასახლისი, ორი მსახური, მზარეული, მრეცხავი და დამლაგებელი. მე დიდი გულმოდგინებით შევუდექი მუშაობას. დამინიშნეს თვეში ხუთი მანეთი ჯამაგარი და ამას დამატა კვების ფული, სამი მანეთი, რომელიც ყოველთვიურად მეძლეოდა, როგორც პატიმარს. ამრიგად, თვეში ვიღებდი რვა მანეთს. ამასთანავე საკვები სასტუმროდან მეძლეოდა. მქონდა პატარა ოთახი, სადაც შემეძლო მომეხვენა.

ამ სასტუმროში დასაბინავებლად მოდიოდნენ უზარმაზარი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეებიდან. მიდიოდნენ, აგრეთვე, ტურისტები, რომელთაც აინტერესებდათ კატორღელთა ყოფა-ცხოვრების გაცნობა. სოფელ ალექსანდროვის და კატორღის მიდამოებში უმაღლესი და პატივსაცემი ხელისუფლები იყვნენ კატორღის უფროსი და მისი ოთხი თანაშემწე. სოფელს მეთაურობდა ერთი მამასახლისი. მე, ჩემი თავაზიანობით და გულდადებული მუშაობით, მალე დავიმსახურე ადმინისტრაციისა და მოსახლეობის პატივისცემა. კარგი ავტორიტეტი მოვიპოვე. როგორც ხვეით აღვნიშნე, კატორღისთან არსებობდა მუსიკალური და დრამატული თვითშემოქმედების წრეები, რომლებიც ჩვენი სასტუმროს კლუბში ხშირად მართავდნენ სადამოებს, კონცერტებს, პატიმარმა, სომეხმა კაპელმეისტერმა, გვარად ტენიშნევა მშენიერი ორკესტრი ჩამოაყალიბა. აღსანიშნავია ისიც, რომ ციხის უფროსი ჩინებული მევიოლინე იყო და კონცერტების დროს ორკესტრში პატიმრებთან ერთად მონაწილეობდა, რაც ყველას ძლიერ გვახალისებდა. მარი ინოკენტისგან და ვანო ჯორჯაძე ჩემი მუშაობით მეტად კმაყოფილები იყვნენ, მე ხშირად დავდიოდი მათთან და მფარველობისათვის მუდამ დიდ მადლობას ვუხდდი.

(გაგრძელება იქნება)

ცხოვრება ბჰანჯი ჩიქოვანისა

უთუოდ სიკეთეს შეგერის და გეშეგებებაო. თადა ხარშიდავამ კი მწუხარედ ცრემლები გადმოვდარა და მითხრა: შენ წახვალ და მე რა მეშეგებება. ნაწყვი დარჩა, აგრეთვე, ხუშუტ ოვანესიანი, რადგან არც იმას უნდოდა ჩემთან დაშორება. მე დავამშვიდე ამხანაგები, თვითონ კი ძალიან ვეუფლებოდა ყოველივე სიზმარი მეგონა. საკანში შესვლის შემდეგ არ გასულა ერთი საათიც და დერეფანში ისევ გაისმა ვიდაცის ბოხი ხმა, რომელიც ჩემს გვარს იმეორებდა. გაიღო საკნის კარები და გამოიხახეს დერეფანში. იქვე იდგნენ ჯორჯაძე, უფროსი ზედამხედველი და ჯარისკაცები. უფროსმა უბრძანა ჯარისკაცებს, რომ სასრაფოდ შეეხსნათ ჩემთვის ბორკილები. ჯარისკაცებმა დამსვეს საკანზე და რამდენიმე წამში მომხსნეს სულის შემსუთავი ბორკილები, რის შემდეგაც შევბე ვი-ტრეკინი, თვალზე ცრემლი მომადგა. ჯორჯაძემ კმაყოფილი ღიმილით მომიკიდა მკლავზე ხელი და გავუყვი. კარები რომ გაგვიღეს, იქვე მარხილი ელოდებოდა, ჩემს წახაყვანად დაბარებული. დავუჯექით და განვუდექით გზას. გზაში ჯორჯაძემ მითხრა - ეხლა მივედივართ ჩემი ერთი დიდი მეგობარი ქალბატონის, მარი ინოკენტის ასულის ბინაზე. ვისი შემწეობითაც გამოგიყვანე იმ ჯოჯორეთიდან და როცა მივალთ, შენ ქართველური თავაზიანობა და ზრდილობა უნდა გამოიჩინო. მე მორცხვად გამეძლია და ვუპასუხე, იმ ქალბატონთან თქვენ სირცხვილს არ გატყუებ-მეთქი. რამდენიმე წუთის შედეგ მარხილი გაჩერდა ერთ მოზრდილ სახლთან. გადმოვიდით მარხილიდან და როდესაც ოთახის კარი გაიღო, საწერ მაგიდასთან დავინახე ოცდაათ წელს გადაშორებულ ღამაზი სახის ქალი, რომლის ხავსე განიერ გულმკერდს მარგალიტისა და ბრილიანტის მბრწყინავი სამკაულები ამშვენებდა. იგი თავაზიანად წამოვდა და ჩემსკენ გამოემართა. მე ძლიერ ვეღვავდი, სახეზე აღმური ამდიოდა. ნელი ნაბიჯით მივუახლოვდი, გამოწვიდი ხელს მივწვიდი და ნახად ვეამბორე. მას ვარდისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა და მუქი ფეხსაცმელები. გარშემო მომწუხველი შერეულებას აფრქვევდა. მან გამიღიმა და ჯორჯაძეს მიუბრუნდა: Правда, замечательный юноша, стоит побеспокоиться о нем...

არ იცის მეფის კანონების სისხსტიკე. ისე, მაგის სიტყვები და სიამაყე მომწონს და უთუოდ ყოველგვარი ხერხი უნდა ვიღონო, რომ იქედან დავიხსნაო. შემდეგ შემომხვდა და თქვა - ამოდენა ვაჟკაცს როგორი ღამაზი და ნაზი ხელები გაქვს, ამას უეჭველად მუსიკა უნდა შევასწავლო - გადახედა ჯორჯაძეს. სადილის შემდეგ სწრაფად გამოიძახა მარხილი და გვერდით დამისვა. მარხილი კატორღის უფროსის საცხოვრებელ ბინასთან შეჩერდა. ჩემი მფარველი მოხელეად გადამოვიდა მარხილიდან და კარებს მიადგა. კაკუნზე გამოვიდა მოსამსახურე და თავაზიანად მიიწვია ქალბატონი. შემდეგ მეც დამიძახეს და მარი ინოკენტისგან ჩემი თავი წარუდგინა მოხუც გენერალს და სთხოვა მას ჩემთვის კერძო ბინაში ცხოვრების უფლება, რათა ამცდენოდა კატორღელის შავი ბედი. გენერალმა ნახეველა და ცივად უპასუხა - ახლა ესეც რომ წამოვიყვანოთ, ამას მითქმამითქმა მოჰყვება, ამიტომ საჭიროა, თვენახევი-ორი თვე იჯდეს და მერე მოვახერხებო. მარი ინოკენტისგან შეაკო გენერლის დიდსულოვნება და სთხოვა - ეს მეტად ახალგაზრდაა, საკანში დაავადდება და მერე ძნელი მიქნება დახმარება და წამხდარი საქმის გამოსწორებაო. თანაც დახსინა, თუ ის არ დაეხმარებოდა, მიმართავდა გუბერნატორს, ამას მაინც გააკეთებდა და მისი მადლობელი კი არ დარჩებოდა. მაშინ გენერალმა თავი დაიქნია და დაწერა განკარგულება ციხის კომენდანტისადმი. ქალბატონმა მრავალჯის გადაუხადა მადლობა და გამოვედით. ჩემს სიხარულს სახლვარი არ ჰქონდა. მზად ვიყავი თავი გამეწვია ქალბატონ მარი ინოკენტისგანათვის. მარხილი სწრაფად მიადგა კატორღის კარებს. ქალბატონმა გადასცა განკარგულება კომენდანტსა და უბრძანა, რომ ჩემი პირადი ნივთები მის ბინაზე გადაეგზავნათ. ამის შემდეგ დავბრუნდი მის სახლში. ვანო ჯორჯაძე ძალზე კმაყოფილი იყო, ჩემი საქმე ასე სასურველად რომ მოგვარდა, იგი მეტად თავაზიანად ეპყრობოდა მარი ინოკენტისგან. ისინი ოფიციალურად მიმართავდნენ ერთმანეთს, ცდილობდნენ საიდუმლოდ შეენახათ თავიანთი ინტიმური დამოკიდებულება. მე ყოველნაირად ვერიდებოდი და ზედმიწევნით თავაზიანობას ვიჩენდი.

მეორე დღეს მარი ინოკენტისგან სადილი გამართა და მოიწვია კატორღის ექიმი ალექსანდრ აკიმოვიჩ ზვერევი, ორმცდაათ წელს გადაცილებული კაცი. ჩემი ყურადღება ანდამატივით მიიპყრო ამ



მებრული ენის, სხვა ქართველური ენების, სხვადასხვა ენის ასაკისა და გენეტიკური კავშირების შესახებ

უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე, ტრადიციულად მიღებულია, რომ, აღმოსავლეთ საქართველოს ეწოდება იბერია, ხოლო დასავლეთ საქართველოს ვერია.

პროფ. ი. ვიფშიძე, თავის ცნობილ ნაშრომში „მებრული (ივერიული) ენის გრამატიკა ლექსიკონითა და ქრესტომატიით“ (წერს: „დასავლეთი საქართველო იბერიული (ივერიული) იწოდებოდა ჯერ კიდევ ადრე ვიდრე იწოდებოდა კოლხიდათი... ჩანს, იყო დრო, ქრისტეს შობამდე, როცა იბერიელები პოლიტიკურად ბატონობდნენ თავიანთ აღმოსავლეთულ ნათესაებზე ქართველებზე (ქართველებზე), რის შედეგადაც აღმოსავლეთ საქართველოს ეწოდა იბერია, მსგავსად იმისა, როგორც შემდეგში ქართველმა, ხელთ იგდეს რა ქვეყნის პოლიტიკური საჭე, მისცეს ორივე ნაწილს საერთო პოლიტიკურ-კულტურული სახელწოდება საქართველო, გაავრცელეს მასზე ყველგან ქართული ენა ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო ენად და გააქართულეს იბერიის ნახევარზე ბევრად მეტი ნაწილი, კერძოდ, თანამედროვე იმერლები, გურულები და აჭარელები“ (დასახ. ნაშრომი, გვ. XIV).

ამის მიხედვით გამოდის, რომ დასავლეთელები – იბერიელები (ივერიელები) საკმაოდ დიდხანს იყვნენ პოლიტიკური საკუთმპრობლენი სრულიად საქართველოში. მართლაც, ტაოში ივერიელები, პირობითი კური და ლიტერატურული წყაროები ცხადყოფენ, რომ ძველად თვით შიდა ქართლის დიდი ნაწილი, კერძოდ, მდინარე მტკვრის მარცხენა მხარის აქტა ნაწილი კოლხეთი იყო დასახლებული ანუ კოლხეთს განეკუთვნებოდა (მათ შესახებ მასალებს, განსაკუთრებით, აქ დეტალურად ვერ წარმოგვადგენ). ასე, რომ გამორიცხებული არ არის, გარკვეული დროის მანძილზე ქართლი მთლიანობაში იბერიელების ანუ კოლხების პოლიტიკური ბატონობის ქვეშ ყოფილიყო.

ამდენად, ჩვენის აზრით, შეხვედრებში, იმის შესახებ, რომ ძველად სახელწოდებები იბერია და იბერიელები (იგივე, ივერია და ივერიელები), მოიცავდა (მსგავსადაც) სრულიად საქართველოს და ქართველობას, საფუძვლიანია, და მისაღებიც, მაგრამ ეს სრულებითაც არ იმსახავს იმას, რომ არ (ვერ) განვარდნოდეთ ერთმანეთისაგან კოლხურსა და ქართლურს, იბერიულსა და კოლხურს, იბერიასა და ეგერიას და ა. შ., ამ სახელწოდებათა ისტორიული შინაარსის მიხედვით, და რომ ასევე არ (ვერ) ვარჩევდეთ ერთმანეთისაგან კოლხურ კულტურასა და ქართლურ (საკუთრივ ქართულ) კულტურას, კოლხურ ენასა და ქართულ (საკუთრივ ქართულ) ანუ ქართლურ ენას, ასევე მებრულ, ლაზურ (ჭანურ) და სვანურ ენებს და ა. შ.

ამგვარ გარემოებებთან დაკავშირებით, სხვა, ახალი ვერსიების თუ მოსაზრებების გამოგონება და საზოგადოებისათვის თავს მოხვედრის მცდელობა, ფეიქსობით, უსარგებლოა. რაკი სიტყვამ მოტივია, აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ასეთი ფაქტის შესახებაც:

საენათმეცნიერო ლიტერატურაში თუ ზეპირმეტყველებაში (ცალკეულ ავტორებთან), არც თუ იშვიათად ვხვდებით ასეთ შეფასებებს: „მოკლე საქართველოში სახელმწიფო ენა, დღეისმსახურების ენა, სამწერლობო ენა და საერთოებრივო ენა მუდამ ქართული ენა იყო“. ეს შეფასება, ცხადია, აბსოლუტურად არარეალურია, არასწორია; **კოლხური (მებრულ-ლაზური), სვანური და ქართლური ანუ საკუთრივ ქართული ენები** ჯერ კიდევ უშორეულეს წარსულში წარმოშობილი ცალკეული ენებია. მათ შორის, კოლხური ენა ათასობით წლის წინათ იყო სახელმწიფო ენაც, საღვთო ენაც და სამწერლობო ენაც (ეს, სხვაგან, ცალკე საკითხად გვაქვს წარმოდგენილი).

დასასრულს, როდენ პარადოქსული არ უნდა ჩანდეს, დაეძინო: ჩვენი ყველა მონაცემი ემყარება მებრული ენის მთელი კოლხალური ლექსიკონის – 1 410 145 286 სიტყვის – წარმომავლობის ანუ ეტიმოლოგიის შესწავლას.

დაიხ, ჩვენს მიერ შესწავლილია ყველა ამ სიტყვის წარმომავლობა (წარმოშობის საფუძველი) ანუ ეტიმოლოგია. მასასა-დამე, შესწავლილია თუ რას აღნიშნავს თითოეული მათგანი და რა საფუძველზე. ამიტომაც, ჩვენ, როცა ვაცხადებთ, რომ მებრული ენის ლექსიკა დაითვისა 1 მილიარდ 410 მილიონზე მეტ სიტყვას პარადოქსული, იშვიათად ხმარებად და პოეტურიად შესაძლებელი ფორმებით (რაც სრულიად დაფიქსირებულია აქამდე უკვე შედგენილ ოცტომეულში),

და, რომ აქედან, საფარად, თანამედროვე მებრულში მეტნაკლები სიხშირით ხმარებადია სულ მცირე 500 მილიონი სიტყვაო, – იქვე, ყველგან, სადაც ეს საჭიროა, აღვნიშნავთ იმასაც, რომ მებრული ენის ლექსიკონის 99,2 პროცენტში ხმაბაძვითი წარმომავლობისა და მხოლოდ დანარჩენი 0,8 პროცენტი შეადგენს არახმაბაძვით ფორმებს ანუ „წმინდა წყლის“ პირობით ნიშნებს. (აღნიშნული პროცენტული რაოდენობანი დადგინდა შეიძლება მებრული „მებრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“, 2007 წ., ხოლო მანამდე, ჯერ კიდევ 1997 წელს გამოცემულ ნაშრომში „ენის წარმოშობის სიდუმლოება“, ხმაბაძვითი წარმომავლობისადმი გამოცხადებული გვერდითი მებრული ენის ლექსიკონის დაახლოებით 95 პროცენტი).

მკითხველი, რომელმაც შეიძლება წაიკითხა მხოლოდ ეს სტრიქონები და არ გახსენებია საერთოდ ჩვენს ნაშრომებს, ცხადია, აღნიშნულ ფაქტს არ (ვერ) დაიჯერებს. მართლაც, ერთი შეხედვით, მხელი დასაჯერებელია, რომ შეიძლება იყოს ადამიანი, მამა-შვილი და თუნდაც მთელი ოჯახი, რომელმაც შეისწავლა 1 მილიარდ 410 მილიონზე მეტი სიტყვის წარმოშობის საფუძველი, თანაც ისეთ პირობებში, როცა ჯერაც არ არსებობს მათი ჩვეულებრივი განმარტებითი ლექსიკონი, რაც, ასეთის შექმნისას, ათეულობით ათას ტომს შეადგენდა.

მაგრამ, ის, ვინც გაეცნო ჩვენს ნაშრომებს, თუნდაც გაზეთ ილორში“ წარმოდგენილი წერილების ციკლს, დანახავდა, რომ ეს ურთულესი, შეუძლებლად წარმოდგენილი საკითხი (პრობლემა), ჩვენ გადავწყვიტეთ, და, ერთობ იოლადაც გადავწყვიტეთ.

საქმე ის არის, რომ მებრული ენის ლექსიკონის უზარმაზარი სიმდიდრის გამო მისი ლექსიკონის თუ საღვთისკონო მასალის სრულად შედგენა იმთავითვე შეუძლებელი აღმოჩნდა. ამასთან, იმთავითვე და ნახული იქნა, რომ თანამედროვე მებრულში უხვად არის წარმოდგენილი ძირისეული თანხმოვნური ფორმები, სრულყოფილი სიტყვების სახით. წარმონაღოდი ისიც, რომ ამგვარი ფორმების აფიქსაცია-გრამატიკუბით არის მიღებული მებრულის ლექსიკონის ძალზე დიდი ნაწილი და რომ ასეთი ძირისეული ფორმები ხასიათდებიან განსაკუთრებით მაღალი პროდუქტიულობით.

ამან წარმოშვა იმის საჭიროება, რომ ამგვარი ძირისეული თანხმოვნური ფორმები გამოგვეყენო მებრულის სხვა, ჩვეულებრივი ხმოვნური სიტყვებისაგანაც, ეს ასედაც მოვახდინეთ. ამ პროცესში კი ნათლად ვლინდებოდა, ანუ ადვილი დასადგენი იყო მოცემული ძირისეული თანხმოვნური ფორმების წარმომავლობაც, მათი ხმაბაძვითობის თუ არახმაბაძვითობის თვალსაზრისით.

ცხადია, ყოველივე ეს ერთდროულად არ მოხდებოდა. მაგრამ რაკ ერთხელ მიგნებულ იქნა კრიტერიუმი სიტყვების საკუთრივ ძირისეული, იგივე ძირისეული თანხმოვნური ფორმების გამოყოფისა და მათი წარმომავლობის გამოკვლევა-წარმოჩენისა, შემდგომში საქმე სწრაფად წარიმართა.

როგორც ზემოთ ითქვა, იმდროულად, ბუნების ერთ-ერთმა საგანმა, ერთ-ერთმა ფრინველმა (ჯღღრღლე-მ) და მისმა მებრულმა სახელწოდებამ (ჯღღრღლე) დაგვანახა ამ სიტყვის წარმომავლობის (წარმოშობის) საფუძველი, რომ ის მიღებულია ამ ფრინველის ძახილისადმი ხმაბაძვითი საფუძველზე, და, რომ მისგანაა მიღებული, შემდგომში, **ჯღღრღლენი, ჯღღრღლენი** და სხვა, ათეულობით ათასი ფორმა. ეს დაელო საფუძველად ანალოგიურ ხედვებს სხვა მრავალი ფორმის მიმართ.

ამრიგად, სწორედ ბუნებამ, ბუნების საგნებმა გვასწავლა მათი სახელდების საფუძველები, იგივე ენობრივი ნიშნების ანუ სიტყვების შემოღების საფუძველები, რაც, საბოლოო ანგარიშით, ენის წარმოშობაში გამოისახა.

როგორც ითქვა, ხმაბაძვითი ფორმების არსებობის ფაქტი ადამიანს ოდითგანვე ნიჭურად შეეძინა. ამიტომაც, საენათმეცნიერო ლიტერატურაში ვის არ წაუკითხავს, რომ ხმაბაძვითია, მაგალითად, სიტყვები: **ყავანი, ჭიხინი, სისინი** და მისთანანი, რომ ამათი ძირები ანუ მარტივი ფუძეებია ფორმები, შესაბამისად: **ყავ, ჭიხე, სის** და მისთანანი, მაგრამ არსად ყოფილა აღნიშნული, რომ პირველადი ძირისეული თანხმოვნური ფორმებია არა ენები, არამედ ფორმები: **ყე ჭხე, ხე** და მისთ.

ასეთ პირობებში, ცხადია, არავის შეეძლო წარმოდგენა, რომ, მაგალითად,

შორისდებულ კრრკრრ-სგან მიღებული მებრულის **ქრქ** ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე დამყარებით შეიძლება მიღებული ყოფილიყო **კარკ, კერკ, კორკ, კორკ, კურკ** ხმოვნური ძირისეული ფორმები და კველა ამათზე დამყარებით შეიძლება გვექონოდა ათობით და ასობით ათასი, და მეტიც, – რამდენიმე მილიონი – სიტყვა (უფრო ზუსტად, 4 611 543 სიტყვა პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოეტურიად შესაძლებელი ფორმებითურთ).

რაკი მოძიებულ იქნა მებრული ენის ლექსიკაში არსებული ძირისეული თანხმოვნური ფორმები და ნაპოვნი იქნა ამგვარი ფორმების გამოყოფის ხერხი ამ ლექსიკონის ხმოვნური ფორმებიდან, ამით შესაძლებელი გახდა მებრულის ლექსიკონის მთელი შემადგენლობის წარმომდგენი ძირისეული თანხმოვნური ფორმების მოძიება. ამით შედგენილ იქნა მებრული ენის ლექსიკონის მინიატურული ლექსიკონი, – ძირისეულ თანხმოვნურ ფორმათა ლექსიკონის სახით. ამასთან, შედგენილ იქნა მებრულის ზმნური ფორმის ლექსიკონი, ზმნური ძირებისა და ფუძეების ლექსიკონის სახით, რაც ამავე დროს წარმოადგენს ამ ფორმის სიტყვათწარმომავლობით ლექსიკონს, და პირველია ენათმეცნიერების ისტორიაში. ამით, ამავე დროს, შეიქმნა საფუძველი მებრულის ზმნური ფორმის ლექსიკონის მრავალტომეულის (უფრო ზუსტად, მრავალტომეულის) შედგენისასთვის. ცალკე შედგენილ იქნა მებრულის სხვა მეტყველებების ნაწილების განმარტებითი ლექსიკონი.

რაც ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა (ეს ზემოთაც აღინიშნა) და კიდევ ერთხელ საზგამათი მოხსენიებას მოითხოვს, აღმოჩნდა, რომ მებრული ენის მთელი ლექსიკა დამყარებულია სულ რაღაც 6652 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე და მათ შორის ხმაბაძვითი წარმომავლობისა 1869 ძირისეული თანხმოვნური ფორმა ანუ 28,1 პროცენტი. მაგრამ, იმ საფუძველზე, რომ ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმები ხასიათდებიან განსაკუთრებით მაღალი პროდუქტიულობით, ხმაბაძვითი წარმომავლობისა აღმოჩნდა მებრულის მთელი ლექსიკონის 99,2 პროცენტი. დანარჩენი 4983 ძირისეული თანხმოვნური ფორმაზე ანუ ამგვარ ფორმათა 71,9 პროცენტზე კი დამყარებულია აღმოჩნდა მებრული ენის მთელი ლექსიკონის მხოლოდ 0,8 პროცენტი.

მასადასამე, მებრული ენის ლექსიკონის წარმომდგენი 6652 ძირისეული თანხმოვნური ფორმის მოძიება-გამოყოფითა და მათი წარმომავლობის საფუძველების შესწავლა-წარმოჩენით, პრაქტიკულად, შესწავლილ იქნა ამ ენის მთელი ლექსიკონის – 1 მილიარდ 410 მილიონ 145 ათას 286 სიტყვის წარმომავლობა (ეტიმოლოგია, ამ სიტყვის პირდაპირი ამოსავალი მნიშვნელობა), ანუ ენის წარმოშობის საფუძველები, რაც, რასაკვირველია, უზრუნველყოფს მოვლენას ენათმეცნიერების ისტორიაში და ამიტომ დაუზრუნველ ფაქტადაც გვევლინება.

რაც მეტად დიდმნიშვნელოვანია, ყოველივე აღნიშნულით, აქამდე არნახული, არგაგონილი და წარმოდგენილი ვითარება შეიქმნა როგორც ქართველური ენების, ასევე მსოფლიოს ენების შედარებით-ისტორიული კვლევა-ძიების საქმეში, ზოგადად ანუ საერთოდ ენისა და სხვადასხვა ენების წარმომადგენელ დღევანდელად, ამ საფუძველზე, მებრული ენის, სხვა ქართველური ენების, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვაგანს ენის წარმოშობის საგარეულო ეპოქების დადგენისა და ასაკის განსაზღვრის ჩვენშიერი მონაცემები თუ მისაზრებები, შეიძლება ითქვას, მაქსიმალურად მიახლოებულია რეალურ სინამდვილესთან ანუ ჭეშმარიტებასთან.

რასაკვირველია, გამოკვლევის ობიექტი, მებრული ენა, რომელიც უშუალო გაგრძელებაა კოლხური ენისა, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უშუალო გაგრძელებაა იაფეტური ენისა, რომ მხოლოდ 4-5 ათასი წლის, ან თუნდაც 10 ათასი წლის ასაკისა იყოს, ყოველ შემთხვევაში ამ ენის ლექსიკონის 99,2 პროცენტში წარმოშობით იყოს ხმაბაძვითი საფუძველზე, ანუ წარმომადგენელს პირველქმნილ ხმაბაძვით საფუძველზე მიღებულ ფორმებს; ასევე შეუძლებელია ენოდენ მცირე ასაკის ენის ლექსიკა ითვლიდეს ასეულ მილიონობით სიტყვას. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი ორი გარემოება: 1. ენათმეცნიერებაში არსებული მოსაზრების მიხედვით, ენის ლექსიკონს, დასაბამიდან დღემდე, ყოველ ათ წელიწადში საშუალოდ შექმნილი აქვს 1-2 სიტყვა; 2. ნ. მარტი მიჩნევა, რომ იაფეტური ენა წარმოადგენს მსოფლიოს ყველა ენის გლოტოგონიურ საფუძველს.

მტკიცება იმისა, წარმოდგენს თუ არა იაფეტური ენა მსოფლიოს ენათა გლოტოგონიურ საფუძველს, მომავლის საქმეა, მაგრამ ჩვენი მონაცემები უდავოდ ცხადყოფენ შემდეგს:

მსოფლიოს ენების ერთიან გლოტოგონიურ (ენობრივ) საფუძველს წარმოადგენს სამეტყველო ბგერები, რომლებიც, თავის მხრივ, ბუნებაში მოცემული ბგერებიდან არის მიღებული, როგორც ბუნებრივი ენობრივი ნიშნების ანუ სიტყვების საშენი მასალა და რის საფუძველზედაც ენა წარმოადგენს საგანთა უნივერსალური საგაროს თავისებურ მოდელს.

მსოფლიოს ყველა ენა, მიუხედავად მათი მონათესაეობის სიახლე-სიშორისა, საერთო ჯამში, მონათესაევა, იმდენად რამდენადაც მონათესაევა მსოფლიოს ყველა ხალხი, ყველა ადამიანი. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ დღემდეა მცხოვრები ყველა ადამიანი სწორედაც ადამიანია, ანუ ადამისა და ევას შთამომავალია და არა სხვა სახის ცხოველი; ამის დასტურია, ის, რომ ადამიანი ჩნდება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანების შეწყვილებით, მიუხედავად მათი ეროვნებისა, კანის ფერისა და ა. შ.

ამიტომაც, გვიოქვამს და გავიშორებთ: ნუ აღმართავ ხელს ადამიანის წინააღმდეგ, ადამიანო!

დასასრულს, ყოველქვე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი მოკლე დასკვნები:

საერთოდ ანუ ზოგადად ენის ასაკი, და მასადასამე, ადამიანის ასაკი დედამიწაზე, დღეისათვის არსებული მონაცემების მიხედვით, დაახლოებით 2 მილიონ წელს დაითვისა.

ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თანამედროვე ენების ასაკი 10 000 წლით განისაზღვრება, ერთობ პირობითია და არახსტი. ამ ენების ასაკი, მათი ისტორიული (ფილოგენეზური) განვითარების თვალსაზრისით, უშორეულეს წარსულშია საძიებელი.

წინარეპართული, იგივე პროტოქართული, პრეპროტული თუ იაფეტური ენის (სულ ერთია, მას რასაც ვუწოდებთ) ასაკი ადამის დროიდან მომდინარეობს და იგი, დაახლოებით, 2 მილიონი წლით განისაზღვრება.

სრულიად მცდარია ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქართველური ენების ასაკი დაახლოებით 3-4 ათასი წლით განისაზღვრება.

ქართველური ენების საწყისი (და, მაშასადამე, ასაკი), ადამის ეამს არის საძიებელი.

ეს იმიტომ, რომ იაფეტური ანუ პროტოქართული ენის დაშლა ცალკეულ ქართველურ ენებად (თავდაპირველად დიალექტებად, შემდგომში კი ცალკეულ ენობრივ ერთეულებად) დაწყებულია ჯერ კიდევ პირველყოფილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური მეტყველების პერიოდში, კერძოდ, მის საწყის პერიოდში, როცა ამ ენის ლექსიკა 50-მდე ენობრივი ნიშანს ანუ სიტყვას ითვლიდა; ეს პროცესი გაგრძელებულია და დასრულებულია ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური (მონოოკალური ანუ ერთმნიანი) მეტყველებიდან ხმოვნურ (მასთანავე მრავალმნიანი) მეტყველებაზე გადასვლის – კერძოდ, თანხმოვნური მეტყველებიდან ხმოვნურ, აფიქსირებულ-გრამატიკულ მეტყველებაზე გადასვლის მრავალათასწლოვან პერიოდში.

მებრული ენა, იგივე კოლხური ენა, როგორც უშუალო გაგრძელებაა პროტოქართული, იგივე, იაფეტური ენისა, ადამის დროიდან მომდინარე ანუ დამკვიდრებული ენაა, ადამის ენაა, ვინაიდან ადამის ენაა თავად იაფეტური ენა. ამასთან, იგი დმერთებისა და დიდი წმინდანების ენაა.

ერთიანი გენეტიკური წარმომავლობის ქართველური ტომობრივი ხალხების ეროვნული კონსოლიდაცია, რაც მრავალსაუკუნოვან ისტორიას მოიცავს, სწორედაც ამ ხალხების გენეტიკური საწყისიდან იღებს საფუძველს და ამ დღეობის მოშუა არავითარ ძალას არ ძალუქს.

თანამედროვე მსოფლიოს ენები და ადამიანები, მიუხედავად მათი მონათესაეობის სიახლე-სიშორისა, საერთო ანგარიშით, მონათესაევი არიან, – როგორც „ადამიანები“, ანუ ადამისა და ევას შთამომავალი ფენომენები.

მამანტი ძაბაძია,
პროფესორი, აკადემიკოსი,
ცირა ძაბაძია
პროფესორი, აკადემიკოსი

ზურაბ ჟვანიას მკვლელობა გახსნილია!



საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმე გახსნილია. მთავარ პროკურატურას გამოძიება, ფაქტობრივად, დასრულებული აქვს და კონკრეტული დამნაშავეების ბრალდებები გამოკვეთილია – ამის შესახებ შერნაღის ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებასთან, კონკრეტულად კი, ძალიან უწყებებთან დაახლოებული პირია.

იმისათვის, რომ მისი მონათხრობი უფრო მეტად დამაჯერებელი ყოფილიყო, ჩვენ წყაროს შევთავაზეთ, საკუთარი ვინაობა საჯაროდ გაემჟღავნებინა, რაზეც მან უარი განაცხადა, თუმცა, პირობა მოგვცა, რომ თუკი მთავარი პროკურატურა საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრებიდან უახლოეს ხანში ჟვანიას საქმეს გახსნილად არ გამოაცხადებს, იგი უკვე საკუთარი სახელითა და გვართი წარსდგება საზოგადოების წინაშე და ყველაფერს ხმადაღლა ილაპარაკებს.

– პროკურატურა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე არ აპირებს ჟვანიას საქმის გახსნილად გამოცხადებას? – შპკ-ისთვის წყაროს.

– დიახ, პროკურატურა ელოდება საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრებას! – კი, მაგრამ რატომ?

– იმიტომ, რომ გამოძიების პროცესში პირდაპირ გამოიკვეთა სააკაშვილის უშუალო მონაწილეობა ჟვანიას მკვლელობაში. ჟვანიას საქმე როგორც კი გახსნილად გამოცხადდება, სააკაშვილს პირდაპირ უნდა დაადონ ხელბორკილი და გაუშვან ციხეში. მოგეხსენებათ, სანამ მიშა პრეზიდენტი, მისი დაპატიმრების უფლება სამართალდამცავ ორგანოებს არა აქვთ. ამიტომ პროკურატურა ელოდება სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის დასრულებას.

– ანუ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიხეილ სააკაშვილს დაიჭერენ?

– დიახ, სააკაშვილს ზურაბ ჟვანიას მკვლელობის ორგანიზებისა და თანამონაწილეობის ბრალდებით დააპატიმრებენ. პროკურატურას იმდენად მეარი მტკიცებულებები გააჩნია სააკაშვილის წინააღმდეგ, არც ვეროპელებს და არც ამერიკელებს სალაპარაკო აღარ დარჩება.

მოკლედ, ძვირფასო მკითხველო, თუ ჩვენ კონფიდენციალურ წყაროს ვენდობით, სააკაშვილი ძალიან მალე მკვლელობის სახელით შევა ციხეში და თან ვისი მკვლელის? – ქვეყნის პრემიერ-მინისტრისა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული

და წონადი პოლიტიკური ფიგურის მკვლელის სახელით.

წყაროს ვთხოვე, მოეყოლა ჟვანიას მკვლელობის საქმის კონკრეტული ეპიზოდები, თუ რა გარემოებები დაადგინა პროკურატურამ და რა მტკიცებულებები მოიპოვა.

წყაროს თქმით, გამოძიებას უკვე უტყუარად აქვს დადგენილი შემდეგი გარემოებები:

1. ზურაბ ჟვანია საბურთალოს ქუჩის 53-ში, კონსპირაციულ ბინაში რაულ უსუპოვთან ერთად გახით არ გაგუდულა. ამ ბინაში როგორც ჟვანიას, ისე უსუპოვს ცხედრები სხვა ადგილიდან მიიტანეს;

2. ზურაბ ჟვანიას ცხედარი საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში ტელევიზორის ყუთით მიიტანეს;

3. იმ პიროვნებებს შორის, რომლებმაც ჟვანიას ცხედრის ტრანსპორტირება მოახდინეს, ერთ-ერთი გიორგი ბარამიძეა;

4. ზურაბ ჟვანია მოკლეს სააკაშვილის შენობადას რეზიდენციაში, სადაც გაიმართა საქმის გარჩევა საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს გაყოფასა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გვერდის ავლით 300 მილიონი ლარის მითვისებასთან დაკავშირებით;

5. სააკაშვილის შენობადას რეზიდენციაში აღნიშნულ გარჩევას ესწრებოდნენ ვანო მერაბიშვილი და დათა ახალაია;

6. ზურაბ ჟვანიას მკვლელობა მოხდა სააკაშვილთან მწვავე შელაპარაკებისა და გინების შემდეგ;

7. ჟვანია მოკლულია თავში ბლაგვი საგნის ჩარტყვით;

8. პროკურატურამ მოიპოვა ფარული აუდიოჩანაწერები, სადაც ისმის სააკაშვილის ხმა – **“ახლა ეს გვამი წაიკეთ და როგორც მოვილაპარაკეთ, ისე გააკეთეთ”**. ჩანაწერში ასევე ისმის რამდენიმე ადამიანის ფხის ხმა და გახშირებული სუნთქვა;

9. წყაროს თქმით, არსებობს სხვა აუდიოჩანაწერებიც, რომელთა შინაარსიც მისთვის უცნობია;

10. წყაროს თქმით, გამოძიების მიერ უტყუარად არის დადასტურებული ის ფაქტიც, რომ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის შემდეგ პრემიერ-მინისტრის ტელეფონზე დარეკა ერთ-ერთმა პარლამენტარმა და უკვე გარდაცვლილი ჟვანიას ტელეფონით ვილაკამ **“უპასუხა”**. ყურმილი 110 წუთის განმავლობაში იყო **“გადაღებული”**, რათა შექმნილიყო იმიტაცია, რომ თითქოს იმ დროს ჟვანია ცოცხალი იყო და ტელეფონზე საუბრობდა.

წყარო ამბობს, რომ გვიან ღამით გიორგი ბარამიძეს დაურეკეს და უთხრეს, რომ ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა. გიორგი ბარამიძე მაშინვე გაემართა სააკაშვილის შენობადას რეზიდენციისკენ, რადგან ზურაბ ჟვანიას მისთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ იმ ღამით შენობადას სააკაშვილთან შეხვედრაზე მიდიოდა. შენობადასკენ მიმავალ გიორგი ბარამიძეს გზაში კვლავ დაურეკეს მობილურზე და უთხრეს, რომ მიხეილ სააკაშვილი ავარიაში მოყვა და სასწრაფოდ უნდა მისულიყო შემთხვევის ადგილას.

გამოძიებას დადგენილი აქვს, რომ სააკაშვილი 2005 წლის 3 თებერვლის ღამეს მართლაც მოყვა ავარიაში, ოღონდ ეს იყო ავარიის იმიტაცია, რათა სააკაშვილს ალიბო ჰქონოდა, თითქოს იმ ღამით შენობადას რეზიდენციაში კი არ იყო, არამედ მანქანით მოძრაობდა და ელექტრობოძით შეჯახების გამო მსუბუქად დაშავდა.

ყოველივე ამის შემდეგ ბარამიძე როგორ მოხვდა იმ ადამიანებს შორის, რომლებმაც ჟვანიას ცხედარი საბურთალოს ქუჩაზე მიიტანეს, ამას წყარო ვერ აკონკრეტებს, თუმცა, დაჟინებით ამბობს,

რომ ჟვანიას ცხედრის ტრანსპორტირებაში ბარამიძემ ნამდვილად მიიღო მონაწილეობა და ეს გამოძიებას უტყუარად აქვს დადგენილი.

წყაროს მტკიცებით, პროკურატურას განსაკუთრებით გაუადვილდა რაულ უსუპოვის მკვლელობის გამოძიება და იმის დადგენა, თუ რატომ ეცვა საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში ნაპოვნ უსუპოვის ცხედარს მხოლოდ ცალი ფეხსაცმელი.

წყაროს მტკიცებით, გამოძიებას დადგენილი აქვს, რომ უსუპოვის ფეხსაცმელი მისი ცხედრის ტრანსპორტირებისას დაიკარგა.

როგორც წყარო ამბობს, გამოძიებით ასევე დადგენილია ჟვანიას მკვლელობაში მისი დაცვის უფროსის კობა ხარშილაძისა და დაცვის წევრის მიხეილ ძაძამიას ირიბი თანამონაწილეობა.

დიახ, ძაძამიასა და ხარშილაძეს პრემიერ-მინისტრის ლიკვიდაციაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა, ისინი მონაწილეობდნენ ყველა შემდგომ პროცესში, რომლის ინსცენირებაც სააკაშვილის ხელისუფლებამ მოახდინა, რათა ჟვანიას სიკვდილის ბინძური ვერსია გაეფრცვლებინა საზოგადოებაში.

სწორედ ამიტომ, ხარშილაძემ და ძაძამიამ, როგორც ჟვანიას მკვლელობის ფიგურანტებმა, ყველანაირი ინდულგენცია მიიღეს სააკაშვილის ხელისუფლებისაგან – კარიერული წინსვლით დაწვებული და ბიზნესის აწეობით დამთავრებული.

შეგახსენებთ, რომ ზურაბ ჟვანიას დაცვის უფროსი კობა ხარშილაძე საკმაოდ დიდხანს იყო ძველი თბილისის გამგებელი და მორჭმით იჯდა იმ შენობაში, სადაც ახლა ცნობილი ქართველი დასტაქრისა და გულის უბაღლო მკურნალის ანზორ მეღიას ვაჟი ნიკონორ მეღიასა მოკალათებული, რომელიც ნაციონალურების ამალაში ყოფნით გულის უხეთქავს და ნერვებს უშლის თავის პატრიოტ მამას.

როგორც ამბობენ, კობა ხარშილაძეს ახლა პოლანდიური ვარდების ბიზნესი აქვს.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაზეც წყარო მიუთითებს: სააკაშვილის ხელისუფლების მიერ რაულ უსუპოვის მსხვერპლად შერჩევა მხოლოდ და მხოლოდ მისი ეროვნების გათვალისწინებით მოხდა.

მოგეხსენებათ, უსუპოვი ეთნიკური აზერბაიჯანელი იყო და სააკაშვილისა და მისი ბანდის გათვლით, თუ ჟვანიასთან ერთად ეროვნებით აზერბაიჯანელს იპოვიდნენ მკვლარს, საზოგადოებისათვის უფრო დამაჯერებელი იქნებოდა ის ბინძური ვერსია, რომელიც ნაციონალურმა რეჟიმმა შეთხზა.

გამგები გაიგებს და მიმხვედრი მიხვდება, რასაც ვგულისხმობ!

წყარო ასევე იხსენებს, სააკაშვილის სპეცსამსახურებმა როგორ შემოაგზავნეს გახით **“ასაგალ-დასაგალის”** რედაქციაში მამათმავალი ბიჭუნა, რომელიც **“გულახდილობის”** იშტაზე გახლდათ და ცდილობდა – ჩვენი რედაქციის თანამშრომლები პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას განსხვავებულ ორიენტაციაში დაერწმუნებინა.

სხვათაშორის, ეს თინეიჯერი მამათმავალი, მას შემდეგ, რაც იგი **“ასაგალ-დასაგალმა”** გაშიფრა, გამოტყდა, რომ ჩვენს რედაქციაში მოხვდა და ჟვანიას ორიენტაციაზე ლაპარაკი ერთ-ერთ ღამის კლუბში დაავადეს. მამათმავლის მიერ აღწერილი დავალების მიმცემი ძალიან პვაგდა ჟვანიას დაცვის წევრს მიხეილ ძაძამიას.

წყარო ასევე ამბობს, რომ ამ ბინძური ვერსიის გამჟავების მიზნით უკვე მოკლულ ზურაბ ჟვანიას სხეულში შპრიცით შეუყვანეს გარკვეული ბლანტი ნივთიერება.

გამგები აქაც ყველაფერს კარგად გაიგებს, რომელ ნივთიერებაზეა საუბარი.

და კიდევ, წყარო ამბობს, რომ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმის პარალელურად მალევე გაიხსნება ლევან სამხარაულის

მკვლელობაც, რომელიც ყვარელში საკუთარმა კლასელმა მოკლა, ხოლო თავად მკვლელობა, როდენ პარადოქსულადაც არ უნდა აღვადგინოთ ეს ოფიციალური ვერსია, ორი იარაღით მოიკლა თავი.

წყაროს ცნობით, სამხარაულის მკვლელობის საქმის გახსნაში მნიშვნელოვანი როლი ითვლება, ყვარლის ყოფილი პირველსკოლეების, სკანდალურმა წერილმა, რომელიც ცოტა ხნის წინათ გახით **“ასაგალ-დასაგალში”** გამოქვეყნდა და რომელშიც საუბარი იყო იმაზე, რომ ზურაბ ჟვანიას ცხედრის ექსპერტიზის ჩამტარებელი ლევან სამხარაული ზურაბ ადგიშვილის ორგანიზებით მოკლეს.

მოკლედ, ძვირფასო მკითხველო, ჩვენი წყაროს მტკიცებით, საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და, ამავდროულად, სამარცხვინო დანაშაული – საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას მკვლელობა გახსნილია. ამის შესახებ საზოგადოება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გაიგებს, ანუ მას მერე, რაც სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ იქნება და მას ჟვანიას მკვლელობის ბრალდებით დააპატიმრებენ!

ამის შემდეგ საქართველოში ისტორიის მდინარეა მართლაც რადიკალურად შეიცვლება.

ამის შემდეგ, ჩვენ მართლაც სულ სხვა ქვეყანაში ვიცხოვრებთ!

ამის შემდეგ ბარამიძეები, მაჭავარიანები, ხათუნა გოგორიშვილები და გიგი წერეთლები, რომლებმაც საკუთარი მეგობარი, მასწავლებელი და გაზაზე დამყენებელი ზურაბ ჟვანია, მისი სიცოცხლე და სსონა ორ შურად გაყიდეს, არათუ პოლიტიკაში ვერ დარჩებიან, ქუჩაშიც ვეღარ გამოყოფენ თავს.

და კიდევ, ამ რამდენიმე დღის წინათ საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ფეხაკრებით აიარა ხათუნა გოგორიშვილმა თავისი საცხოვრებელი კორპუსის კიბეზე, ალბათ, იმის შიშით და რიდით, რომ მასზე ერთი სართულით დაბლა მცხოვრებ ზურაბ ჟვანიას დედას, ქალბატონ რემას არ შეეყოებოდა.

მეზობლები ამბობენ, რომ ქალბატონი რემა ჟვანია მეზობელსა და შვილის ყოფილ მეგობარს ხათუნა გოგორიშვილს არც კი ესალმება!

ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმის გახსნის შემდეგ გოგორიშვილს რემა ჟვანიასთან მეზობლად ცხოვრების მორალური უფლება ნამდვილად აღარ ექნება!

გახით **“ილორის”** კორესპონდენტი ესაუბრა ზურაბ ჟვანიასთან ერთად მოკლული აზერბაიჯანელი ეროვნების ახალგაზრდის რაულ უსუპოვის მამას იაშარ უსუპოვს, რომელთან ინტერვიუს ნაწილსაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს:

– აქამდეც ყველასთვის ცხადი იყო, მაგრამ ახლა უკვე გამოძიებით დამტკიცდება, რომ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიაც მოკლეს და ჩემი ბიჭიც. ამ მკვლელობებში უშუალოდ მონაწილეობდნენ უმაღლესი თანამდებობის პირები, თუმცა ახლა გვარ-სახელებს ვერ დაგასახელებ. რაც მოხდა, იმაში მონაწილეობდნენ ჟვანიას დაცვის წევრებიც, რომლებმაც ყველაფერი იციან, თუმცა გააჩუმეს. დაცვის წევრების ბრალეულობაც აუცილებლად გამოიკვეთება, მათი მოვალეობა პრემიერის დაცვა იყო, როგორ დაცვეს, ყველამ ნახა. სააკაშვილი არის თუ არა დამნაშავე, ამას გამოძიება იტყვის, მაგრამ უკვიც არ მეპარება, რომ პრეზიდენტის გარეშე პრემიერის მკვლელობა არ მოხდებოდა. ამ საქმის შესახებ ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ამის მეტს ვერაფერს გეტყვით. მეშინია, გამოძიებას არ შეუშალო ხელი.

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას ერთი ხმაურიანი ტრანსფერის და მალრილის "რეალის" ხარჯი მილიარდია

ბოლო ათწლეულში მადრიდის "რეალმა" ასტრონომიული თანხა დახარჯა ფეხბურთელთა ტრანსფერებში. მარტო 2009 წელს "სამეფო კლუბმა" 257 მილიონი ევრო გაიღო. მადრიდელებს ბევრით არც კატალონიელები ჩამორჩნენ დროის ამავ პერიოდში...

პირველად იყო ბექჰემი...

მაშ ასე, ბოლო დეკადის ათეულის წერტილად დევნილი ბექჰემის ტრანსფერი მივიჩნიოთ. მას შემდეგ "რეალმა" თითქმის მილიარდი დახარჯა. დიას, ეს ძალიან ბევრია, "ბარსელონა" მუდმივ მეტოქეს 300 მილიონით ჩამორჩა.

თუკი დარწმუნდებით 6-7 კვირაში ფლორენტიანო პერესი კიდევ ერთი დიდ შენაძენს გააკეთებს, მადრიდელი გრანდი მილიარდიან ზღვარსაც გადააბიჯებს. დღეისათვის, კი კლუბს 965 მილიონი ევრო აქვს დახარჯული.

2003 წელს "ბარსელონაში" პრეზიდენტად ჟოან ლაპორტა მივიდა, ხოლო "პარი სენ-ჟერმენიდან" რონალდინიო გადაიბირეს. მას მერე "ბარსაში" 648 მილიონი ევრო გადაიხდა ფეხბურთელთა შექენაში. ამიტომაც, როცა ეს ორი გუნდი ერთმანეთს ხვდება, ვეღარ ვიტყვი, რომ მადრიდელი და ბარსელონელი სკოლის დაპირისპირებაა, მეტისმეტად ბევრი ფულია დახარჯული უცხო ფეხბურთელებში საამისოდ...

2003-ში "ბარსელონაში" რონალდინიო (32,5 მილიონი ევრო) მივიდა. რაფა მარკესი და ნაკლებად წარმატებული რიკარდო კვარეშმა ბარსელონელები გახდნენ. მაშინ, როცა "რეალმა" მხოლოდ ბექჰემი (37,5 მლნ) შეიძინა და გაყიდა მაკელელე (20 მლნ).

არც "ბარსელონას" და არც "რეალს" არ მოუვია ლა ლიგა ამ სეზონში - ტიტული "ვალენსიას" ერგო - მაგრამ ამის შემდეგ ტიტულისთვის მხოლოდ ეს ორი გრანდი იბრძვის.

2004 სატრანსფერო წელსაც "ბარსაში" მეტი დახარჯა - ლაპორტას და ფრანკ რაიკარდის პროექტი ეშსში შევიდა: გუნდში მივიდნენ სამეფო ეტოლო (27 მლნ)

- სხვათა შორის, "რეალის" თანხმობით, როგორც ფეხბურთელზე გარკვეული უფლებების მქონე დეკუ (21 მლნ) და ლუ-ლოვიკი კიული (8,5 მლნ).

"რეალის" სატრანსფერო კამპანია ნაკლებად ელვარე იყო, მივიდნენ: ვალტერ სამუელი (23 მლნ), ჯონათან ვუდგეიტი (18 მლნ) და მაიკლ ოუენი (12 მლნ). ის სეზონი "ბარსაში" მოიგო, 1999 წლის მერე პირველად.

2005 წელს "ბარსელონაში" გადაწყვიტეს, რომ არაფერს ვეძებოთ არ იყო - მხოლოდ მარკ ვან ბომელი მივიდა 35-დან თავისუფალ აგენტად. მიუხედავად ამისა, "ბარსაში" ლა ლიგაც მოიგო და ჩემპიონთა ლიგაც. აი, "რეალმა" კი ბევრი ხარჯა, მაგრამ ტიტულების გარეშე დარჩა. მადრიდელებმა იყიდეს: რობინიო (24 მლნ), ჟულიო ბაპტიშტა (20 მლნ) და სერხიო რამოსი (27 მლნ). ბოლო შენაძენი "ლოს ბლანკოსთვის" ძალიან კარგი გამოდგა.

2006 წელს "ბარსაში" ვიდურ გუდიონსენი (12 მლნ), ლილიან ტურამი (5 მლნ) და ჯანლუკა პამპროტა (14 მლნ) იყიდა. "რეალმა": რუდ ვან ნისტელროი (15 მლნ), ფაბიო კანავარო და ემერსონი (ორივე 11,5 მლნ. "იუვედას"). გონსალო იგუაინის "რივერ პლეტიდან" შექენა (12 მლნ) ურიგო ტრანსფერი არ გამოდგა, რასაც ვერ ვიტყვით მაშადუ დიარას (26 მლნ) და ფერნანდო გაგოს (20,5 მლნ) ყიდვას.

თავიდან, თითქოს, "ბარსას" უპირატესობა გამოიკვირებოდა, მაგრამ ლა ლიგის ბოლოში პირველი ფაბიო კაპელის "რეალი" იყო.

2007-ში კაპელი გაუშვეს და ბერნდ შუსტერისთვის ბევრი იყიდეს: არიენ რობენი (36 მლნ), ვესლი სნეიდერი (27 მლნ), პეპე (30 მლნ), როისტონ დრენტე (14 მლნ), გაბრიელ პაინცე (12 მლნ). თავი ყველაზე ვერ გამოიჩინა, მაგრამ "ლოს ბლანკოსმა" ტიტული შეინარჩუნა.

იმ სეზონში "ბარსაში" გადავიდნენ: ტიერი ანრი (24 მლნ), გაბი მილიტო (20 მლნ), ერიკ აბიდალი (15 მლნ), იაია ტურე (9 მლნ).

2008-ში პეპ გვარდიოლამ რონალდინიო და დეკუ გაუშვა, სამაგიეროდ კი ბევრი მიიღო: დანი ალფეში (35,5 მლნ), სეიდუ

კეიტა (14 მლნ), ჟერარდ პიკე (5 მლნ), ალექსანდრ პლევი (17 მლნ), მარტინ კასერესი (16 მლნ), ენრიკე (8 მლნ). მართალია, ნახევარმა არ გაამართლა, მაგრამ "ბარსაში" ლა ლიგა დაიბრუნა, მოიგო ჩემპიონთა ლიგა და კოპა დელ რეი. ასეთი ტრებლი აქამდე "ბარსას" არ ჰქონია.

"რეალი": კლას იან პუნტელარი (27 მლნ), ლასანა დიარა (20 მლნ), რაფაელ ვან დერ ვაარტი (15 მლნ) ხელმოცარული დარჩა. ერთია, სარფიანად გაყიდა რობინიო "სიტოში" (43 მლნ).

2009 წლის ზაფხულს ორივე კლუბი გაგიჟდა: მადრიდში ფლორენტიანო პერესი დაბრუნდა მმართველობაში. "რეალმა" იყიდა: კრიშტიანო რონალდო (94 მლნ - მსოფლიოს რეკორდი დღესაც), კაკა (65 მლნ) და ჩაბი ალონსო (35,4 მლნ). "ბარსაში" შეიძინა: ზლატან იბრაჰიმოვიჩი (69,5 მლნ) და გაუშვა სამეფო ეტოლო. ლა ლიგა ისევ "ბარსას" დარჩა.

2010-ში "რეალში" კოზე მოურიზიო მივიდა. "რეალმა" იყიდა: ანხელ დი მარია (33 მლნ), მესუტ ოიზილი (18 მლნ), სამი ხელირა (14 მლნ). "ბარსას" შენაძენები: დავიდ ვილია (40 მლნ), ხავიერ მასკერანო (20 მლნ). გვარდიოლამ ბევრი მოიცილა.



გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია - XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საბამოცემო ჯგუფი



ვლადიმერ პუტინი - "საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ნამდვილი ქართველია"



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ნამდვილი ქართველია, - ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ტელეარხ Russia Today-ში სტუმრობისას განაცხადა.

"მე შევხვდი კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. ის ძალიან კეთილი ადამიანია, რა თქმა უნდა, ნამდვილი ქართველია. წამებიც კი არ ყოფილა, რომ მას საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებზე არ ესაუბრა, თუმცა იგი ამ ყველაფერს ბრძნულად და მშვიდად აკეთებს", - აღნიშნა პუტინმა.

პუტინის ამ სიტყვებში გასაოცარი არაფერია, რადგან რუსეთის პრეზიდენტის დამოკიდებულება საქართველოს პატრიარქისადმი (გაიხსენეთ, როგორ მიეხალა იგი მოსკოვში ვიზიტად მყოფ ილია მეორეს და მუხლზე დაწოლა) ეამბოროა ხელზე მის აშკარა მოწიფებას და ღრმა პატივისცემას უსვამს ხაზს.

Russia Today-ში სტუმრობისას

რუსეთის პრეზიდენტმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავების პერსპექტივებზე ისაუბრა, თუმცა აღნიშნა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების უკან წადებას არ აპირებს. თუმცა, ყველას კარგად გვახსოვს ვლადიმერ პუტინის განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი სრულიად არ გახლავთ გადაუჭრელი პრობლემაო, რაც დიდ იმედებს ბადებს.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 18 ივლისს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მოსკოვში გაემგზავრა, სადაც დაგეგმილია მისი შეხვედრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან.

გამოვიდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" სამეცნიერო-კოაპერატიული და ლიტერატურული შურნალ "აია"-ს 2013 წლის პირველი ნომერი. მთავარი რედაქტორი ბიორბი სიჭინავა. შურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ ზუგდიდში (რუსთაველის ქ. №68), სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყვიში, მარტვილში და აბაშაში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წარმომადგენლებთან. თბილისში - ტაშაშენის ქ. №25, I სართავაზო, ბინა, 1. შასი 4 ლარი

იუმორი

მთავარი ექიმი ეკითხება პალატის ექთანს:
- ღამე რამდენი კაცი მოკვდა?
- სამი.
- უცნაურია, მე ხომ ოთხი რეცეპტი გამოგწერე...
- რატომ გაიქცით ჯარიდან?
- ავადმყოფობის გამო.
- რა ავადმყოფობა გჭირთ?
- არ ვიცი, მაგრამ ჩემს დანახვაზე მთელ ნაწილს გული ერეოდა.

- გოგონა, თქვენ მართლა არ ეწვეით, არ სვამთ და კაცებს არ ხვდებით?
- დიას!
- რატომ?
- მომბეზრდა...

ქუთაისელი წიგნის კითხულობს. მიდის ამხანაგო:
- რას კითხულობ?
- "საქართველოს ეკონომიკა"-ს!
- ვიცი, წაკითხული მაქვს, ბოლოს კვდება!

- რა გირჩევნია - ხუთი ათასი დოლარი თუ ხუთი ქალიშვილი?
- ხუთი ქალიშვილი.
- რატომ?
- იმიტომ, რომ რვა მყავს!

ექიმი ეუბნება პაციენტს: - თქვენ გენიშნებათ მკაცრი დიეტა!
- ჭამამდე თუ ჭამის შემდეგ?

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234 - 32 - 95

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოლოქიძე**
ბაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ძოგალაია 599-34-37-27**
სარედაქციო საბჭო: **ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუპალაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ძოგალაია, ბიორბი სიჭინავა, ნუზუარ სალაყაია (გალი)**

გახეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
www.saqinform.ge